## მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა

### II

მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს დიდი მნიშვნელობა აქვსთ ჩვენთვის არა მარტო იმით, რომ, ჩვენის აზრით, ისინი უნდა გახდნენ მომავალში ორგანიზატორებად წარმოებისა.ა რა, მათი მნიშვნელობა ამით არ იფარგლება. იმათ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის აწმყოში, როგორც მუშათა გარემოს, როგორც ნიადაგს, რომელზედაც შეიძლება აღმოცენდეს მომავალის შემქნელი ძალა. ჩვენთვის ამ გარემოსთან მჭიდრო დამოკიდებულების ქონება სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვაა. მუშათა მასსა ჩვენთვის არც იარაღია, რომელიც ჩვენ უნდა ვიხმაროთ, არც საზარბაზნო ხორცი. ჩვენ არასოდეს, არსად მუშათა ორგანიზაციები არ გვიხმარია ჩვენი პარტიის ინტერესებისამებრ, რამდენადაც შეგვეძლო, ყოველთვის და ყოველგან იმას ვსცდილობდით, რომ თვით მუშები გამხდარიყვნენ გამგენი მათის მოძრაობისა, ჩვენ დამხმარეთა როლით ვკმაყოფილდებოდით. არსად არ ვცდილვართ, არც იქ, სადაც სხვა პარტიებზე მეტი გავლენა გვაქვს, რომ ჩვენ ვყოფილიყავით ან მუშების წინ, ან მათ უკან. ჩვენი სურვილი იყო და არის სრული ერთობა მაშვრალ ხალხთან, არა იმ მიზნით, რომ ჩვენ განვაგოთ იგი, არამედ იმ მიზნით, რომ მის ენერგიას და მოქმედებითი ძალას ჩვენი ენერგია და მოქმედებითი ძალა სრულიად შევუერთოთ. ჩვენ არასოდეს და არსად, არც იქ, ვიმეორებთ, სადაც სხვა პარტიებზე მეტი ძალა გვაქვს, არ ვცდილვართ, რომ ჩვენ პარტიას კუთვნოდა გეგემონია, უფროსობა მუშათა მოძრაობისა. ჩვენი სურვილი იყო და არის, რომ პირველ ხარისხოვანი, ხელმძღვანელი როლი მუშათა მოძრაობაში დაიჭიროს თვით სხვა ყველა პოლიტიკურ პარტიებისგან სრულიად დამოუკიდებელმა მუშათა ორგანიზაციებმა. ჩვენთვის მხოლოდ ამგვარი მუშათა ორგანიზაციები, და არა საპოლიტიკო და საპარლამენტო პარტიები, წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც შესძლებს არა თუ განახლებას თანამედროვე ცხოვრების საძირკვლებისას, არამედ შექმნას იმ პირობათა, რომლებშიაც ჩქარის ტემპით უნდა მიმდინარეობდეს ევოლიუცია განახლებულ კაცობრიობისა. მუშათა მასსაა ის ძალა, რომელიც გამარჯვებას მოუხვეჭს ჩვენგან შეყვარებულ იდეალს, მტკიცე და უძრავ ნიადაგზე ააშენებს მომავალ თავისუფლების ტაძარს. ყველა საზოგადოებრივი კლასები გამოლაყებულნი არიან, მათ დაჰკარგეს ყოველი ცხოველმყოფელი შემოქმედებითი ძალა. ამისათვის ჩვენ გვსურს ერთობა მხოლოდ მუშათა კლასთან, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ერთობა განხორციელდება, როცა მუშები განთავისუფლდებიან პოლიტიკურ პარტიათა ბატონობისაგან, რადგან შეგნებული მუშათა მოძრაობის მისწრაფება არ შეიძლება არ იყოს ჩვენი მისწრაფება. ჩვენი ტეორია, ჩვენი ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არ უბრალო პერიფრაზა მუშათა მუდმივ და უცვლელ მისწრაფებათა თავისუფლება-ერთობისკენ. აი, ამ ერთობის განსამტკიცებლად, ჩვენ მისწრაფებათა ნათელ-საყოფად მუშებისათვის, ჩვენ მუშათა გარემოში უნდა ვიყოთ, მის ახლო უნდა ვიდგეთ, არათუ სარევოლიუციო ქარტეხილების დროს, არამედ მანამდიც და მერმეც, რომ, როცა საჭიროება მოითხოვს, როცა მოძრაობა იფეთქებს, მაშინ ან უცხო არ ვიყოთ მუშათა გარემოში, ან ახალ მოსულნი. მართალია, ყოველ-დღიური ბრძოლა მუშებისა ძველი პოზიციების შესანახად, პატარ-პატარა კერძო გაფიცვები გროშებისათვის წვრილმანად მოსჩანს ყველა იმისთვის, ვისაც გული უღელავს, ვისაც ცდა მოსწყინდა. მით უფრო საჭიროა, რომ ცოცხალ ტემპერამენტის მქონე მომქმედნი, დაუღალავნი და მოუსვენარნი მუშაკნი არ ჩამოშორდნენ მუშათა გარემოს, მუშათა ორგანიზაციებს, რათა ისინი მეტის-მეტად არ შეჩერდნენ ამ წვრილმან ინტერესებზე და არ დაივიწყონ თავიანთი უმთავრესი საქმე, არ გადუდგნენ და არ უღალატონ თავიანთ ისტორიულ მისსიას, რომელიც ახალ ქვეყნის, ახალ ცხოვრების, ახალ კაცობრიობის შექნაში მდგომარეობს.

*
* *

ასეთია ის გაკვეთილი, რომელსაც წარსული იძლევა. გადავავლოთ თვალი ისტორიას ამ აზრის დასასაბუთებლად. თვით ისტორია გვიმტკიცებს პროფესიონალურ მოძრაობის აღნიშნულ ნიადაგზე დაყენების აუცილებელ საჭიროებას. დასავლეთ ევროპაში მომხდარი ცდა ამტკიცებს, რომ პოლიტიკური პარტიები ვერასოდეს ვერ აკმაყოფილებდნენ მუშათა კლასს. ყოველთვის მე-XIII საუკუნიდან მოკიდებული, მიუხედავად სხვა და სხვა გვარის პოლიტიკურ პარტიების არსებობისა, იქმნებოდნენ მათ გარეშე და მათგან სრულიად დამოუკიდებლად მომქმედი პროფესიონალური კავშირები, ძმობები მოხელეთა, რომელთაც აზრად ჰქონდათ თავისი **პირდაპირი მოქმედებით,** ე. ი. პირდაპირ, უშუამავლო ბრძოლით, გაფიცვით, ბოიკოტით, აგრარულ თუ სხვა მოძრაობით ჰქონოდათ გავლენა კაპიტალისტებზე როცა ამ მუშათა ისტორიას ავლებთ ეხლა თვალს, როცა კითხულობთ მათ მოთხოვნილებათა სიას, მათ მოწოდებებს, რწმუნდებით, რომ ისინი ყოველ იდეალს მოკლებული არ იყვნენ, როგორც ჰგონიათ თანამედროვე საინტელიგენციო სოციალიზმის მომხრეთ—სოციალ-დემოკრატებს. იდეალი ძმობა-ერთობისა, ფაბრიკა-ქარხნების საერთოთ ქონებისა ყოველთვის ეხატებოდა და აღაფრთოვანებდა იმათ. მთელი ისტორია მუშათა მოძრაობისა ამტკიცებს, რომ მუშათა კლასს არასოდეს არ უთქვამს უარი პროფესიონალურ კავშირებზე, არასოდეს არ აუღია ხელი მას ამ ხასიათის ორგანიზაციათა შექნაზე. თუნდ ორმოცი პოლიტიკურ სოციალისტური და პოლიტიკური პარტია არსებობდეს, მუშათა კლასი მაინც ვერ დაკმაყოფილდება, მაინც იძულებული იქნება შეჰქნას თავისი კლასიური ორგანო—პროფესიონალური ორგანიზაცია, ყოველ პარტიათაგან დამოუკიდებლად მომქმედი. თვით დიდებული ინტერნაციონალი, რომელიც დაუშრეტელი წყაროა მუშათა მოძრაობის ფილოსოფიისა, ის ინტერნაციონალი, რომელმაც შეჰქმნა მთელი ჩვენი სოციალისტური ტერმინოლოგია, სხვა არაფერი იყო, თუ არა ცდა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის შექმნისა. დევიზი ინტერნაციონალისა: „განთავისუფლება მუშათა თვით მუშათა საქმე უნდა იყოს“ ნათლად მოწმობს, რომ ინტერნაციონალს აზრად ჰქონდა პროლეტარიატის მოქმედებისათვის მკაფიოდ კლასობრივი ხასიათი მიეცა და დაემყარებია თვით მუშათა **პირდაპირ მოქმედებაზე.** სწორედ ამან შეჰქნა სიდიადე ინტერნაციონალისა, ამან მოუხვეჭა მას სახელი ძველს და ახალ ქვეყნებში.

„რასაკვირველია, როგორც-კი ინტერნაციონალის სიძლიერე თვალსაჩინო გახდა, პოლიტიკოსებმა მაშინვე მოინდომეს მისი ხელში ჩაგდება. პო-

ლიტიკურ ჯურის სოციალისტებმა და რადიკალებმა ისარგებლეს 1870—1 წ. ომით, საფრანგეთის, ისპანიის ინტერნაციონალის და მუშათა კლასის დარბევით და შეეცადნენ ისე მოებრუნებინათ ინტერნაციონალის მოქმედება, რომ ის გაეხადათ პოლიტიკო-პარლამენტარულ პარტიის ფეხის დასაყრდნობ იარაღად, იმ პარტიის, რომელიც ისწრაფოდა განეხორციელებინა თავის დროზე სახელმწიფოებრივი კოლექტივიზმი (ე. ი. მართალი თუ გინდათ, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი). აწმყოში-კი მათ სურდათ კაპიტალისტურ ექსპლოატაციის შემოფარგლვა კანონმდებლობითი სახსრებით. ამის შესახებ მოხდა განხეთქილება ინტერნაციონალში, რომელსაც აგრეთვე ყველა მთავრობა ებრძოდა, და ისიც ნელ-ნელა დაირღვა“ *).

ღირსშესანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც ინტერნაციონალის დაყოფვის შემდეგ შესდგა ჭრელი, ნახევრად სოციალისტურ და ნახევრად დემოკრატიულ ელემენტებისაგან, ზრდა ჩქარის ტემპით მოხდა გერმანიაში, ე. ი: პოლიტიკურად ძლიერ უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში. სხვა ქვეყნებშიც აღმოცენდა სოციალ-დემოკრატიული პარტია და შეეცადა, რომ შამოეერთებინა მთელი მუშობა, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი გახდა, ყველგან მუშებმა თავიანთ პროფესიონალურ ორგანიზაციის წევრად დარჩენა მოისურვეს და თუ შევიდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მხოლოდ სახელით, საქმით ისინი მხოლოდ თავიანთ ორგანიზაციების წევრებად რჩებოდნენ. თუ პოლიტიკურ პარტიებს პროფესიონალური ორგანიზაციების როლი მეორე ხარისხოვანად მიაჩნიათ, პროფესიონალურ ორგანიზაციებს იქ, სადაც მუშათა შეგნებულობა მაღლა სდგას, პოლიტიკურ პარტიათა როლი მიაჩნიათ მეორე და მესამე ხარისხოვანადაც და ისინი სრულიად მართალნი არიან. პარტია კლასი არ არის, პარტიათა მოქმედებაც კლასობრივი მოქმედება არ არის, ის კავშირიც, რომელიც ერთ და იმავე პარტიის წევრებს აკავშირებს ერთმანეთს შორის, კლასობრივი კავშირი არ არის, ის მხოლოდ იდეიური კავშირია და ამისათვის ცვალებადია, ვინაიდან ის კერძო პირის ფსიხიკაზედ არის დამყარებული. სულ სხვა არის ის კავშირი, რომელიც აერთებს ერთ და იმავე პროფესიის მუშებს ერთმანეთს შორის ერთ და იმავე პროფესიონალურ ორგანიზაციებში, ამ ორგანიზაციებს ნაციონალურ ფედერაციებში, და ნაციონალურ ფედერაციებს საერთაშორისო ფედერაციებში. აქ დაკავშირება იმისდა მიხედვით კი არ ხდება, თუ რა აზრის, ან მიმართულებისაა ესა თუ ის კერძო პირი, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რა სოციალური პოზიცია უჭირავს მას საზოგადოებაში, ამისათვის კავშირი, რომელიც აერთებს მუშებს პროფესიონალურ ორგანიზაციებში, კლასობრივი კავშირია, თვით ორგანიზაცია კლასობრივი ორგანიზმი და ორგანოა, მისი მოქმედებაც კლასობრივია. ამაში მდგომარეობს ის დიდი, კაპიტალური განსხვავება, რომელიც გვარჩევს ჩვენ სხვა სოციალისტებისაგან, რომელნიც სოციალიზმსა და დემოკრატიზმს უკავშირებენ ერთმანეთს, მაგ. სოციალ-დემოკრატები. ჩვენ უარვყოფთ სოციალ-დემოკრატიის კლასობრივს ხასიათს, რადგან ნათლად ვხედავთ, რომ თუ ეს უკანასკნელი თავის საბოლოო იდეალით—კოლექტივიზმით, თუ კომუნიზმით კლასობრივია, თავისი მახლობელი მიზნით, პროგრამა მინიმუმით—დემოკრატიულია. დემოკრატიული პრინციპი კი კლასობრივ პრინციპთან მოურიგებელია, დემოკრატია თეორიული უარყოფაა კლასობრივ ბრძოლისაც და თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებისაც. მოწინავე პროლეტარიატი გრძნობს ამას. მისი შეგნებულობაც იზრდება ამის დაგვარად და ბოლოს 40 წლის კლასობრივ თეორიაზე ლაპარაკის შემდეგ, როგორც იქნა, დაიწყო კლასობრივი მოძრაობა—ამ ჟამად პროფესიონალური ორგანიზაციები, სარევოლიუციო სინდიკალიზმი არიან გამომხატველნი ამ კლასობრივ მოძრაობისა. ვიმეორებთ კიდევ იმას, რაც არა ერთხელ და ორჯელ გამოვსთქვით ჩვენ სტატიებში: ამ გვარი ორიენტაცია მუშათა მოძრაობისა არ არის შედეგი ამა თუ იმ კერძო პირის, თუ ჯგუფის სურვილისა. ისაა გამოხატულება ისტორიის ლოღიკურ მსვლელობისა, ისაა შედეგი მუშათა კლასის პოლიტიკურ და გონებრივ სიმწიფისა; ყველგან, სადაც პროლეტარიატი განვითარდება, ყველგან, სადაც ის გახდება შეგნებულად მომქმედ სოციალურ ძალად, ის უსათუოდ ამ გზას დაადგება—ეს აუცილებელია და ამისათვის დროა,—რადგან ეს ფაქტი თვალსაჩინოთ ქცეულია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მოძრაობის ისტორიით—ისტორიას დავემორჩილოთ, ე. ი. მისი გაკვეთილებით ვისარგებლოთ და ამ აუცილებელ ევოლიუციაში მის ამაჩქარებელ ძალად ჩავერიოთ. ესაა ჩვენი დანიშნულება. ადამიანი ევოლიუციას ვერც შეჰქმნის, ვერც შეაჩერებს. მას შეუძლია მხოლოდ სოციალურ ცხოვრების განვითარების დაკვირვებით, განხილვით ისტორიულ მსვლელობის კანონი აღმოაჩინოს და მით ისარგებლოს, იხელმძღვანელოს, რომ ხელი შეუწყოს ცხოვრების იმ ფორმაში ჩამოსხმას, რომელიც თვით ისტორიას დაუსახავს ამ ცხოვრების მომავალ ფორმად.

* * *

მაგრამ მუშათა მოძრაობის ასეთ ერიენტაციაში იხატება კიდევ ერთი რამ, რასაც საკმაო ყურადღებას არ აქცევენ იაკობინურ აღზრდის სოციალისტნი და რის გამორკვევაც ძლიერ საჭიროა ყველა იმისთვის, ვინც ძალად, დიქტატორულად კი არ ხდება პროლეტარიატის წარმომადგენლად, არამედ ბუნებრივად, თანხმად იმ ერთობისა, რომელიც არსებობს იმის და პროლეტარიატის მისწრაფებათა შორის. ამ მოძრაობაში თავს იჩენს მძლავრი პროტესტი სახელმწიფოებრივ პრინციპის გაძლიერების წინააღმდეგ, გაძლიერება, რომლისკენაც ისწრაფვის მთელი ეგრედ წოდებული სოციალ-დემოკრატია.

რა სურს, მაგალითად, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას! ის თხოულობს, რომ სახელმწიფომ გამოისყიდოს სულ ერთიანად რკინის გზა, რომ კერძო ბანკები გაუქმდნენ და რომ საბანკო საქმეები გახდეს სახელმწიფოს მონოპოლიად. ის თხოულობს, რომ აკრძალულ იქმნას კერძო ვაჭრობა სპირტ-გარეულ სასმელებისა და ამ გვარ სასმელებით ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლიად გახდომას, ისე, როგორც საფოსტო და სატელეგრაფო საქმეებია სახელმწიფო მონოპოლია. ყველა ამას ის თხოულობს ეხლა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და შრომის კაპიტალისტურ ექსპლოატაციის დროს.

რა სურთ, მაგალითად, სოციალისტებს ინგლისში? მათ უნდათ, რომ სახელმწიფო ჰკვებავდეს ბავშვებს სკოლაში, რომ შედგენილ იქმნას სამსჯავრო მუშათა და მეპატრონეთა მიერ ამორჩეულ კაცებისაგან, რომელთაც დაამტკი-

*) პ. კრ-ნის წერილიდან რუსეთში ახლად დაწყებულ პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ.

ცებს მთავრობა და რომ მუშები გაფიცვის მაგიერ ამ სამსჯავროს მიმართავდნენ ხოლმე. თუ მაგისთანა სამსჯავრო მეპატრონეთა სასარგებლოდ გადასწყვეტს საქმეს, სახელმწიფომ ძალით უნდა მიაღებინოს მუშებს გადაწყვეტილება, ყველა ეს უნდა მოხდეს, რასაკვირველია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. იმ უფლებაზე, რომელიც მუშას უნდა ჰქონდეს ფაბრიკა-ქარხნებზე, აქ კრინტსაც არვინ სძრავს.

და აი მუშები დაშინდნენ, რა ხედავენ თუ რა უზარმაზარ ძალას აძლევენ სახელმწიფოს. ,,თქვენ თითონ ხართ სახელმწიფოო“ ეუბნებიან იმათ, მაგრამ იმათ ეს არ წამთ, რადგან იციან თუ რა საშინელ ძალას წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფო ბურჟუაზიის ხელში. ,,რაღა იქნება, რომ სახელმწიფო ძალა ჩაუვარდეს დიდი ხნით სარეაქციო ბურჟუაზიის პარტიას ხელში? რაღა იქნება, რომ ბურჟუათა რიცხვის გამრავლებით, მტკიცე უმრავლესობა ბურჟუაზიისკენ დარჩეს ბევრის წლების განმავლობაში“? ინგლისში ხომ ბურჟუათა და ნახევრად ბურჟუათა რიცხვი იმდენივეა, რამდენიც არის რიცხვი მუშათა. ინგლისის ბურჟუაზე მთელი ქვეყანა მუშაობს. ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, ეგვიპტე, რუსეთი, თეთრი, შავი, ყვითელ, რასსის ხალხები, ერთი სიტყვით ყველა იღვწის ინგლისის მებირჟესათვის, და ჰოლანდიის და სხვა ბურჟუათათვის, ამისათვისაა, რომ მათი რიცხვი მსწრაფლად იზრდება. კარგი იქნება, რომ ამ პირობებში საშინელი ძალა მივსცეთ ხელში ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, ე. ი. იმავე ბურჟუაზიას, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდის „ჩინოვნიკთა“ სახით?*).

ერთი სიტყვით ყველგან პროლეტარიატმა შეიგნო თუ რა სახიფათო შედეგი მოჰყვება სახელმწიფოებრივ პრინციპის გაძლიერებას, ყოველგვარ დემოკრატების და სოციალ-**დემოკრატების** პრაქტიკულს მოქმედებას კი აუცილებლად უნდა მოჰყვეს ეს გაძლიერება. მუშები კი ყოველთვის ცდილობდნენ და ეხლაც სცდილობენ, რომ რამე ნაირად შეამცირონ ის საშინელი და ყოველ შემთხვევაში სარეაქციო ძალა, რომელსაც სახელმწიფო წარმოადგენს**).

ერთი სიტყვით რა მხრიდანც უნდა გავ-

*
* *

შინჯოთ ეს კითხვა. ცხადია, რომ ჩვენი პირველი მოვალეობაა ხელი შევუწყოთ დამოუკიდებელ მუშათა კავშირების აღმოცენებას, რადგან მხოლოდ ამ კავშირების დახმარებით შეიძლება მუშათა კლასისათვის პოლიტიკურ სიმწიფის შეძენა, მხოლოდ ამ კავშირების დახმარებით მუშათა კლასი გამოვა იმ უსუსურ ბავშის მდგომარეობიდან, რომელშიაც მას აყენებენ სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები, რომელთაც მასალად სჭირიათ მუშა კლასი და რომელნიც მას ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რომ არ შეეძლოს თავის საკუთარი სცხოვრებით ცხოვრება, რომ ის მუდამ საჭიროებდეს მათში, როგორც უსუსური ბავშვი, უძლური თავისთავად იცხოვროს თავისივე თვით მოქმედებით, საჭიროებს ვექილში.

*
* *

ეხლა ჩვენში და, საზოგადოთ, რუსეთში ისეთი დროა, რომ ყოველი კლასები გამოდიან საზოგადო ასპარეზზე ან თავიანთ პრივილეგიების დასაცავად და გასამაგრებლად, ან ახალ პრივილეგიების მოსაპოებლად. ყველა კლასებს, ყველა წოდებებს გარკვეული პროგრამმა აქვსთ, ყველა გარკვეული მიზნისთვის იბრძვის. მხოლოდ ერთი პროლეტარიატი, ხელმძღვანილი სოციალ-დემოკრატისაგან, არის მოკლებული გარკვეულ პროგრამას და გარკვეულ მიზანს. რომ გადავავლოთ თვალი პროგრამმას სოციალ დემოკრატიისას, რომელიც ბონაპარტისებურ უზურპაციით ითვისებს სახელს პროლეტარიატის ერთად ერთ წარმომადგენელისას, მასში ვერაფერს პროლეტარიულს ვერ ვნახავთ, მის პოგრამაში არ არის არც ერთი თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობის შემცვლელი მოთხოვნილება, ის თხოულობს იმას, რასაც თხოულობს მოწინავე დემოკრატია, კიდევ ნაკლებს, რადგან ის ავტონომიის და ფედერალიზმის წინააღმდეგია და ცენტრალიზმის მომხრე, ე. ი. ამ კერძო შემთხვევაში ის „17 ოქტომბრის კავშირს“ და მის წარმომადგენელ გუჩკოვს უფრო ჰგავს, ვინემ კადეტებს და რუსთ რადიკალებს. დემოკრატია და დემოკრატიის მოთხოვნილებები—პროლეტარიატი და პროლეტარიატის მოთხოვნილებები არ არის. დემოკრატია იგივე ბურჟუაზიაა. და ეს ბურჟუაზია არის პროგრამა მინიმუმი სოციალ დემოკრატიისა, *) არა, აგრეთი ქცევა არა არის პროლეტარული; ამგვარი მოქმედება არ არის პროლეტარიატის სამსახური. ყველა წოდება, ყველა კლასი მკაფიოდ და გარკვეულად თავის წოდებით, თუ კლასიურ პროგრამას აყენებს წინ და იბრძვის მის განსახორციელებლად, პროლეტარიატმაც თავისი კლასიური პროგრამა და მიზანი უნდა წამოაყენოს და იბრძოლოს მის განსახორციელებლად.

ბურჟუაზია სხვა და სხვა სახით გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ რა სახეც უნდა ჰქონდეს მას, ის სცდილობს ყოველ საზოგადოების გადაქმნის მიზნად მქონე მოძრაობით ისარებლოს, რომ დაამყაროს თავისი უფლება, თავისი მთავრობა.

მემამულეები ცდილობენ შეირჩინონ მიწის მონოპოლია, რომ გლეხები მუდამ ყურ-მოჭრილ მონად ჰყავდეთ.

„ჩინოვნიკობა ცდილობს უფრო გაადიდოს თავის ძალა, კიდევ უფრო გააძლიეროს ადმინისტრატიული ცენტრალიზაცია და თუ ამ მიზნის მასაღწევად მათ სახელმწიფობრივი კაპიტალიზმის გაძლიერება დასჭირდებათ, ამაზედაც უარს არ იტყვიან.

ბირჟევიკები ცდილობენ ბირჟა გააძლიერონ სახელმწიფო და სამოქალაქო საკრედიტო დაწესებულების ხელში ჩაგდებით.

ეკლესია ცდილობს გააძლიეროს თავის სულიერ ბატონობის საქმე, მოიპოვოს დიდი გავლენა ხალხზე აღზრდითი საქმის ხელში ჩაგდებით და სხვა და სხვა“.**) ერთი სიტყვით, ყოველი საზოგადოებრივი წოდება ეცდება ისარგებლოს იმ გარდაქმნით, რომელიც ეხლა ხდება თავის წოდებრივ ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ეცდება ასეთ ნიადაგზე ააშენოს ახალი წესწყობილება, ისეთი პოლიტიკური ფორმა მისცეს გარდაქმნის შედეგ ახალ წესწყობილებას, რომ ის მისი და მისი პრიგილეგიების დამცველი და გამმაგრებელი იყოს.

ნუ თუ ცხადი არ არის, რომ პროლეტარიატმაც, სწორედ ამ ულმობელ

---

*) იგივე წყარო.

**) მეტი არ იქნება ამ აზრის ილიუსტრაციად შემდეგი ფაქტი მოვიყვანოთ. როცა პ. რკოპოტკინმა გამოსცა თავის წიგნი სასოფლო მეურნეობის შესახებ, სადაც ის ამტკიცებდა არსებას თანამედროვე ეკონომიურ ვითარებაში ტენდენციას წა:მოების დეცენტრალიზაციისკენ და მეორედ შეძლებულებას მეურნეობის უმეპატრონეოთ და სახელმწიფოს გარეშე მოწყობას, ინგლისელმა მუშებმა, გაიცნეს რა ეს წიგნი, სთხოვეს მის ავტორს შეემუშავებია პროექტი რკინის გზების უმეპატრონეოთ და უსახელმწიფოთ მოწყობისა. კანისვე წინადადებით ამ კითხვის შემუშავება გადაეცა ისპანიის მორკინისგზე მუშათა კავშირებს. ფაქტი, რომელიც ცხადად გიჩვენებს, რომ თვით მუშები სცდილობენ რომ რამენაირად გაუსხლტდნენ სახელმწიფოს ხელიდან.

*) იგივე წყარო.

**) ერთ ქართულ ბროშურაში, რომელსაც „ქართველი ნაციონალისტები“ ეწოდება და რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფირმით არის გამოცემული (ქართულად) და რომელზედაც ცენტ. კომიტეტის ბეჭედიც არის დარტყმული, პირდაპირ არის ნათქვამი: დემოკრატია ჩვენი პროგრამა მინიმუმიაო.

კლასობრივი ბრძოლის დროს თავისი კლასობრივ მიზანი, თავისი კლასობრივი პროგრამა უნდა წამოაყენოს წინ! დიახ, ეს ცხადია, მაგრამ ეხლა გავრცელდა „სოციალისტების“ ისეთი კატეგორია, რომელიც „პრაქტიკულ“ მოქმედების სურვილის ნიღაბს იფარებს, სოციალიზმს სამერმისოდ სტოვებს და ჯერ-ჯერობით პროგრამა მინიმუმის ნიადაგზე მოქმედობს. „საქმის“ მოყვარულნი! ნამდვილად კი ეს მინიმუმის მომხრე სოციალისტები, მინიმუმად არიან სოციალისტნი და სოციალიზმს ისე ხმარობენ, როგორც ანკესით მეთევზე პატარა ჭიას, რომელსაც თევზი ძალიან ეტანება. მეთევზე პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი პარტიაა. (მათ სახელი სხვა და სხვა აქვთ, მაგრამ საქმე სახელში ხომ არ არის), ანკესი პროგრამა მინიმუმი (ფერ-უმარილ შეცხებული დემოკრატიზმი) არის, ჭია, რომელსაც ანკესზე აცმევენ, სოციალიზმია, ხოლო თევზი, რომელსაც ამ ანკესით იჭერენ, მუშა, მაშვრალი ხალხია.

* * *

პროლეტარიატს თუ სურს, რომ თავის განთავისუფლების საქმე კარგად წაიყვანოს, ჯერ თითონ უნდა განთავისუფლდეს არა მკითხე დიქტატორობისაგან; ის ინტელიგენცია, რომლის „დენშჩიკად“ ის გამხდარა, პირიქით თითონ უნდა გაიხადოს „დენშჩიკად“, თავის პარტიას მარტო სახელი კი არ უნდა დაარქვას პროლეტარიატისა, არამედ შემადგენლობით, მოქმედებით და პროგრამითაც უნდა გახადოს ის პროლეტარიატის პარტიად. როცა პროლეტარიატის პარტია პროლეტარიატთაგან შესდგება, როცა მას თვით პროლეტარები განაგებენ და უხელმძღვანელებენ, მაშინ მისი მოქმედებაც კლასობრივ-პროლეტარული შეიქნება. როცა პროლეტარიატი არამკითხე დიქტატორებისაგან განთავისუფლდება, მის სვლას წინ თავისუფლება-ერთობისაკენ არაფერი არ შეაფერხებს. მონები და უსუსურნი არ ჰქმნიან ახალ ცხოვრებას, თავისუფლება. სანამ პროლეტარიატი პოლიტიკურ პარტიებში ირევა და იქსაქსვის, ის მინამ უსუსური იქნება. ძალას თავისუფლების განსახორციელებელს, ენერგიასა და სიმწიფეს ნამდვილ კლასობრივ, თვითმოქმედებაზე დამყარებულ მოქმედებისას და აგრეთვე პოლიტიკურ სიმწიფეს საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ ფორმების შესაქნელად ის მხოლოდ მაშინ შეიძენს, როცა სხვისი ვექილობიდან გამოვა და დააარსებს **თავის, მუშათა** პარტიას, ერთსა და განუყოფელს, როგორც ერთი და განუყოფელია მთელი პროლეტარიატის ინტერესი და მისწრაფება. არა, არ არის საჭირო პროლეტარიატისათვის სხვა და სხვა პარტიებში ქსაქსვა. ის, როგორც **კლასი** წარმოადგენს ბუნებრივად პარტიას, ეს კლასი უნდა იქნას ორგანოში მოყვანილი. მან არ უნდა სდიოს ამა და იმ პარტიებს, ის უნდა ჩამოშორდეს ყველას და თავისი პარტია უნდა დააარსოს და მაშინ პოლიტიკანები და არა მკითხე დიქტატორები, რომლებიც დღეს მისი ბატონები არიან, მისი მსახურნი იქნებიან. პროლეტარიატმა არც ერთი პოლიტიკური პარტია ბატონად, გამგედ, ვექილად არ უნდა გაიხადოს. ის უნდა გახდეს დამოუკიდებელი, გაბედულად და კლასობრივად მომქმედი პარტია და მაშინ თვით პოლიტიკანები და არა მკითხე დიქტატორები, ეს უარმიოდ დარჩენილი გენერლები, პროლეტარიალის გამგის მაგიერ მის მსახურად იქცევიან.

---

# კ ა ნ ო ნ ი

(გაგრძელება)

## III

დაგვრჩა უკანასკნელი პასუხები კანონთა თაყვანისცემლებისადმი.

რა არის კანონი, რად შეიძლება იყოს კანონი არა კლასსიურ საზოგადოებაში?

პასუხი ადვილია.

კანონი—კანონია, ყოველთვის, ყოველგვარ საზოგადოებაში, იგი გამოხატულებაა იმ დაწესებულებათა სულისა, რომლებიც შეადგენენ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ტიპის განსაზღვრულ დამახასიათებელ მხარეს. მხოლოდ მიზანი შეიძლება შეიცვალოს კანონისა, შეიძლება კანონთა რიცხვი შემცირდეს, ან გაძლიერდეს, მაგრამ ამით მისი შინაარსი არ იცვლება, კანონი ყოველთვის რჩება სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის გამომხატველ ფორმულად. მაგალითად, თანამედროვე საზოგადოებაში კანონმდებლობის მიზანია უმთავრესად კერძო საკუთრების დაცვა, არა-კლასსიურ საზოგადოებაში კი შეიძლება კანონი აღარ შეეხებოდეს კერძო საკუთრებას, რადგანაც კერძო საკუთრება აღარ იქმნება. მაგრამ ადამიანთა შორის ათასნაირი სხვა განწყობილებაა გარდა კერძო-საკუთრების განწყობილებათა. კანონს შეუძლია გამოჰხატოს უმცირესი ან უმეტესი*) ნაწილი ამ განწყობილებათა, გამოჰხატოს [illegible]რად, ე. ი. ძალით გაიყვანოს ცხოვრებაში არა ნამდვილი განწყობილებანი, რომელთაც ძალით გაყვანა არა სჭირიათ, რადგანაც ბუნებრივად არსებობენ,—არამედ იმ დაწესებულებათაგან გამოსული ბრძანება მოახვიონ ხალხს თავზედ, რომელნიც აუცილებლივ წინ უნდა უძღოდეს ყოველსავე ახალი ტიპის კანონმდებლობას და რომელნიც საფუძვლად ხდებიან განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ საზოგადოებისა.

მაგალითად, ს. დ.-ების კოლლექტივიზმი სრული ტიპია იმგვარ საზოგადოებრივ ორგანიზაციისა, სადაც თანამედროვე ფორმა კერძო საკუთრებისა ისპობა, მაგრამ ინახება თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთა სულიც უნდა ჩაედგას მომავალ კანონს.

რა არის კოლლექტივიზმი ს. დ.-ებისა**).

კოლლექტივიზმი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სახელმწიფო კაპიტალიზმი, დამყარებულია შემდეგ პრინციპზედ: თვითოეულმა უნდა იმუშაოს ან იმდენი, რამდენიცა სურს, ან იმდენი, რასაც სახელმწიფო გადასწყვეტს, და ჯილდოდ მიიღოს თავისი შრომის ღირებულება საქონლით, რომელსაც გამოიტანს სახელმწიფო ან სამაზრო მაღაზიებიდან თავის შრომის რაოდენობის კვიტანციის წარდგენის შემდეგ.

ცხადია, ამ პრინციპზედ აგებული საზოგადოება ნამდვილი სახელმწიფო ტიპია საზოგადოებრივ ორგანიზაციისა, და ლოღიკურად შეუძლებელია ამგვარ საზოგადოების წარმოდგენა, თუ სახელმწიფო დაწესებულებათა სული არ გამოიხატა **კანონებში**. მიუმატეთ ამას ათასნაირი სხვა განწყობილებანი, გარდა ეკონომიურთა, რომელნიც ხალხში არსებობდნენ და იარსებენ ყოველთვის, ყოველ საზოგადოებაში, და რომელთაც **სახელმწიფო, არც ერთი სახელმწიფო** თავის დღეში არ დასტოვებს ბრჭყალ-დაუვლებლად და კანონის კალაპოტში ჩაუყენებლად,—და ეს „სოციალისტური“ სახელმწიფო წარმოგიდგებათ თვალის წინ მცირე ანალიზის

---

*) რაიცა ცხოვრებაში არასოდეს არა ხდება.

**) თანამედროვე კოლლექტივიზმი ს. დ.-ებისა და ძველი ინტერნაციონალის კოლლექტივიზმი, რომელსაც ემხრობოდა ბაკუნინი და ესპანელი მუშები (ამათ ახლაც აქვს ეს (სახელი) სულ სხვ. და სხვა რამ არის.

შემდეგ, როგორც ფერ შეცვლილი სურათი თანამედროვე სოციალურ წყობისა,—სურათი თანამედროვე კაპიტალიზ-სახელმწიფოს განუყოფლობისა და ერთარსებობისა.

წარმოების მოწყობა და სამრეწველო ანტრეპრიზა, მუშათა განაწილება, თუ ეს განაწილება არ მოხდა მოთხოვნისა და მიწოდების კანონით, როგორც ესა ჰგონია ვანდერველდს,—დადგენა სამუშაო ქირისა შრომის ხარისხის მიხედვით სხვა და სხვა მრეწველობის დარგებში, ჩეკების ფაბრიკაცია და მათი დასარიგებელი ბიუროები, ათასნაირი ამგვარი მსხვილი და წვრილი საქმე წარმოებაში,—შემდეგ გარანტია ყოველ მშრომელისათვის თავის შრომის ღირებულების მიღებისა, თვალყურის დევნება, რომ ჩეკები არავინ მოაგროვოს, როგორც კერძო სიმდიდრე, რომ არავინ მოიპაროს სხვისი შრომის გამომხატველი ჩეკები და სხვა,—შემდეგ დამოკიდებულება ცოლისა და ქმრისა, შვილთა და მშობელთა, აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმე, მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ დარგთა საქმე, კონფლიქტები კერძო პირთა შორის და კერძო პირთა და „საზოგადოების“ შორის, როგორც ამბობენ იურისტები,—რომელიც ყოველთვის იქმნება იმგვარ საზოგადოებაში, სადაც მმართველობაა თუ გინდ ანგელოზებისაც,—ყოველივე ეს სახელმწიფომ უნდაიდვას თავზედ და მხოლოდ მცირე ასპარეზი უნდა დაუტოვოს სამოქმედოდ თავისუფალ ჯგუფებს.

წარმოიდგინეთ როგორი ორგანიზაცია უნდა ამგვარ საზოგადოებას, რამდენი ძალ-დამტანებელი დაწესებულება, და, მაშასადამე, რამდენი **კანონი**, რომელთაც წარმოუდგენელია, რომ ყველა **დაემორჩილოს**, რადგანაც ის კანონი, რომელიც **ყველას** გულშია აღბეჭდილი როგორც წმინდათა წმინდა და დაურღვეველი რამ, კანონი არ არის, როგორც, მაგალითად, მუშაობის შემდეგ ჭამა არავის არ დაუკანონებია, არამედ ის არის საზოგადო **მოთხოვნილება** ყოველ ორგანიზმისა. იმგვარი რამ, რაიც **მოთხოვნილებაა** მთელი საზოგადოებისა და კერძოდ ინდივიდისა, თავის დღეში არ დაკანონდება, რადგანაც ეს **მოთხოვნილება** თავის თავად სრულდება, ან სცდილობენ შეასრულონ, უმეტეს ნაწილად სწორედ კანონის წინააღმდეგ.

კანონი წარმოუდგენელია „**თუ მორჩილნი არ არიან საზოგადოებაში, ან არა მორჩილნი**. იურისტები მართალს ამბობენ ამიტომ,—კანონის ხასიათი მისი დარღვევის დასჯით დახასიათდებაო.

მაშ მორჩილება და ურჩობა და ამ უკანასკნელის მიერ გამოწვეული დასჯა დაახასიათებს კანონს მომავალ საზოგადოებაშიაც, რომელიც სახელმწიფო გეგმაზედ იქმნება აშენებული, როგორც გვეუბნებიან **კლასთა მომსპობი** ს. დ.-ები?

მაგრამ კანონის შემდგენელნი კანონმდებელნი არიან,—სულ ერთია, კაპიტალისტურ საზოგადოებაში თუ სახელმწიფო-სოციალისტურში. (**უმთავრობო** საზოგადოება კი ხომ არა სწამთ ს. დ.-ებს? და თუ უმთავრობო სწამთ და უსახელმწიფოც, მაშინ ხომ ს. დ.-ები არ იქმნებიან!) თუ გინდ ეს კანონმდებელნი აირჩიონ საუკეთესო საარჩევნო თეორიის მიხედვით, საქმე არ იცვლება. კანონმდებელთა კრება მაშასადამე აუცილებელია.—ეს ერთი დაწესებულება თანამედროვე საზოგადოებისა,—ერთი ჯგუფი მუქთა ხორათა, რომელიც რჩება მომავალ საზოგადოებაში.—კანონმდებელი კანონებს გამოსცემს ყველა ზემოხსენებულ საზოგადო საქმეთა მოსაგვარებლად და განაწესიერებლად, და რადგანაც ამ კანონთ აღსრულება სჭირდება, რომ თავისი შინაარსი უამისოდ სრულიად არ დაჰკარგოს, საჭიროა აღმასრულებელი ძალა, ე. ი. მინისტრები, ათასნაირი ადმინისტრატორები, ჟანდარმები და ჯაშუშები, შეიძლება მილიციაც, თუ კი უკმაყოფილოთა რიცხვი ძლიერ ბევრი იქმნა.—ეს მეორე ჯგუფი მუქთა ხოროთა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას ანადგურებს.—კანონის მოწინააღმდეგეთ ხომ გასამართლება და დასჯა უნდა, რომ კანონმა ძალა არ დაჰკარგოს და შინაარსი. ამისთვის კი საჭიროა მსაჯულ-ადვოკატები, საპყრობილეები და სხვ.—ეს მესამე ჯგუფი მუქთა ხორათა, რომელიც აგრეთვე თანამედროვე საზოგადოების გამათახსირებელია, და ასე დაუსრულებლივ,—მთელი დაწესებულებანი თანამედროვე საზოგადოებისა საკანონმდებლო ორგანოდან დაწყებული პოლიციის პრეფექტურამდე და საპყრობილემდე, მთელი თავისი ძიფრსატიულ სიბნელითა და პოლიციურის ძალმომრეობით, აღსდგებიან არა კლასსიურ საზოგადოებაშიაც, **სადაც კანონი გამოჰხატავს** იმ დაწესებულებათა სულს, რომელთაც სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვსთ, ე. ი. მართვისა და ძალდატანების ორგანიზაციის ხასიათი.

მაგრამ გვეუბნებიან—აქ საქმე **უმეტესობის** ინტერესთა დაცვაშია და არა კერძო პირთა კაპრიზით. ეს არის ჩვენი მომავალი სახელმწიფოს ფუნქცია და ამიტომ გვინდა მთავრობაც და მისგან შექმნილი კანონიცო.

მაგრამ რა არის უმეტესობა და უმცირესობა?

1) ეს ცნობანი ერთობ და მომეტებულად შედარებითი ცნებანი არიან. მაგალითად, შეიძლება ხალხის უმეტესობა ერთი ათასით იყოს მეტი უმცირესობაზედ, შეიძლება 30,000,000 ადამიანში 15 მილიონი და ნახევარი, ან თუ გინდ 16 მილიონი შეადგენდეს უმეტესობას და დანარჩენი 14 ნახევარი მილიონი ან 14 მილიონი კი უმცირესობას. – რა უნდა ვსთქვათ, მაშასადამე, იმ კანონზედ, რომელიც მთელი თოთხმეტი მილიონის წინააღმდეგია და ვერ აკმაყოფილებს მათ?

გარდა ამისა, წარმოიდგინეთ სიძლიერე იმ ძალა-დამტენებელ ორგანიზაციისა, რომელსაც კანონი ამ უმცირესობის წინააღმდეგ და უმეტესობის სასარგებლოდ ძალით გაჰყავს ცხოვრებაში? წარმოიდგინეთ აგრეთვე, რომ ეს 14 მილ. ხალხი **სულ შეუგნებელია, რაიც უსათუოდ უნდა ვიგულისხმოთ სოციალისტურ სახელმწიფოში**, და არ უთმობს არაფერს არც კანონს, არს უმეტესობას, მუდამ ჯანყდება კანონისა და უმრავლესობის წინააღმდეგ, მუდამ ახდენს რევოლიუციას,—და მაშინ გაიგებთ, თუ როგორი ჯარი, როგორი პლიცია, ძალ-მომრეობა და რეიპესიები დასჭირდება მომავალ კანონს ამ მილიონ შეგნებულ უმცირესობის ასალაგმავად.

2) წარმოვიდგინოთ, რომ მომალი სახელმწიფოს მომხრენი აღიარებენ უმცირესობა-უმრავლესობის პრინციპს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უმცირესობა=0-ს, ანუ როდესაც ამ უმცირესობას აქვს ძლიერ ახლო საზღვარი ნულთან, ე. ი. იგი უდრის მთელი ხალხის $^{1}/_{1}$,000,000-ს ან 1, 000,000 ან სამ მემილიონელს, და ასე ძლიერ ცოტას, უმეტესობის საზღვარი კი მთელი ხალხია.—მაშინ თვით პრინციპი კანონმდებლობისა და სახელმწიფო ორგანიზაციისა ირღვევა, რადგანაც ა) თუ უმეტესობა უდრის მთელს და უმეტესობა ნულს, მაშინ ხალხის ორგანიზაცია ისეთი ყოფილა,

რომ ორგანიულად გამოდიან გადაწყვეტილობანი თვით ხალხთა მასსიდან, უმთავრობოდ და უწარმომადგენლოდ, რადგანაც შეუძლებელია რამდენმამე წარმომადგენელმა აბსოლიუტურად გამოჰხატოს ყველა ინდივიდთა ერთი და იგივე აზრი და მისწრაფება.—გარდა ამისა თვით ეს ფორმულა აბსურდია, რადგანაც თავის-თავად ყოვლად შეუძლებელია 30,000,000 ხალხმა ერთი რაიმე გადაწყვეტილება გამოიტანოს ყოველთვის ისე, რომ ყველა ერთიმეორის თანახმა იყოს ყველა კითხვებში. მართალია, რომ ჰკითხოთ, ყოველი კაცი გეტყვისთ,—ჭამა საჭიროა, მაგრამ სწორედ ეს აზრი, თუ გინდ მილიარდ ხალხისა, არა ჩაითვლება კანონად, არ ჩაითვლება კანონად აგრეთვე არც ერთი აზრი ან გადაწვვეტილება ხალხისა,—თუ ამგვარი „გადაწყვეტილება“ ხალხისა შესაძლებელია, (რომელზედაც ყველა თანახმაა, ე. ი. როდესაც უმეტესობა უდრის ნულს. ბ) თუ უმეტესობა უდრის თითქმის მთელს და უმცირესობა ძლიერ მცირეა, მაშინ უნდა ვიანგარიშოთ მოძრაობა ამ მცირისა, რომელიც უკან მსვლელობით მიისწრაფის ნულისაკენ, წინმსვლელობით კი მთლის ნახევრისაკენ, რაიცა გამოიწვევს პირველს შემთხვევაში თვით კანონის უარ-ყოფას, ან 30,000,000 მილიონის ხალხის მიერ ერთხმად სხვადასხვა კითხვის გადაწყვეტას, ე. ი. აბსურდს, მეორე შემთხვევაში კი საშინელს, დესპოტიურსა და მონურ საზოგადო ორგანიზაციას, კანონზედ დამყარებულს. გ) თუ უმცირესობა არც ძლიერ მცირეა და მთელის ნახევარზედაც შორს არის, მაშინაც პირდაპირი შედეგი ამისა კანონის უარ-ყოფა იქნება, რადგანაც საზოგადოებისათვის ძლიერ უფრო ხელ-საყრელია ამ თუ გინდ მავნებელ მცირე უმცირესობის ყოლა საზოგადოებებში, ან მათი მოვლა ათასნაირ ადამიანური საშუალებით, რადგანაც მომავალში უკეთ ეცოდინებათ მიზეზები ადამიანის სიცუდისა, ვიდრე მათ დასასჯელად შექმნა ათასნაირ მხეცურ და მონურ დაწესებულებათა.

საზოგადოდ, შეგვიძლია განვიხილოთ ცალკე მომენტები უმცირესობის მოძრაობისა ნულიდან მთელის ნახევრამდე და ყოველთვის ვნახავთ, რომ ან კანონის უარ-ყოფა გამოდის, ან საშინელი მონობა და დესპოტიზმი, ან საშინელი აბსურდი, რაიცა ნათლად გვიჩვენებს თვით უმეტესობა-უმცირესობის პრინციპის სიაბსურდეს.

3) უმცირესობა-უმეტესობის პრინციპი თვით, თავის თავად არის აბსურდი და მავნებელი, რადგანაც ადვილი შესაძლებელია ძლიერ ბევრ კითხვაში,—**და არასოდეს ყველა კითხვაში**,—უმეტესობა, ან რამდენიმე ან ერთეული უფრო გონიერი, მცოდნე და ჭკვიანი იყოს, ვიდრე უმრავლესობა. მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ ეს მართლაც ასე ყოფილა ხოლმე. რევოლიუციებსა, მეცნიერებასა, გამოგონებათა და ადამიანის მრავალგვარ შემოქმედებას ჰყავს თავის მოწამენი, თავისი უმცირესობა, დასჯილი უმრავლესობისაგან, ანუ მათ ეგრედ წოდებულ „წარმომადგენელთაგან“. ამათი ცხოვრება—ისტორიის საუკეთესო ფურცლებია, და მომავალ საზოგადოებაში რომ უმცირესობა დაიჩაგროს, მაშინ სულ უნდა შეჩერდეს მთელი წინსვლა ადამიანისა, შეჩერდება რა მისი ინიციატივა და თავისუფალი შემოქმედება.

4) ჩვენა ვსთქვით, რომ თეორეტიულად უმცირესობის საზღვრები შეიძლება იყოს ნული და მთლის ნახევარი, პრაქტიკულად კი უმცირესობა ყოველთვის დიდ მასსას შეადგენს, რომლის დასამონებლად უნდა შეიქმნას ძლიერი დესპოტიური სახელმწიფო. და რამდენადაც უფრო შეგნებულია ეს უმცირესობა, იმდენად უფრო სასტიკი იქნება კანონი, **თუ გინდ დღეში ასჯერ შესცვალონ მთავრობის პერსონალი.**

5) შესაძლებელია **უმცირესობის** ან **უმრავლესობის** გამონახვა და განსაზღვრა რომელსამე საზოგადოებაში? ჰმ! არ ვიცი როგორ აზროვნობენ ამის შესახებ დემოკრატები, რომელთათვისაც **უმრავლესობა** თაყვან-საცემ კერპად გადაქცეულა,—ჩემთვის თვით ამგვარის გამოცანის გამოცნობის ცდაც კი აბსურდია. როგორი უმრავლესობა ან უმცირესობა, როგორ პირობებში, როგორ მომენტში, რომელ კითხვებში, როგორ გუნებაზედ მყოფ ხალხთა შორის, რომელი ერთი უმცირესობა ან უმეტესობა უნდა ვეძებოთ? როგორ უნდა შევადგინოთ თანასწორობა, ან თუ შევადგინეთ, როგორ უნდა გავარკვიოთ იგი, როდესაც მხოლოდ ერთ თანასწორობას შევადგენთ და მეტს ვერა,—ათასი გამოურკვეველი ოდნობით სავსეს, რომელთა შემწეობითაც უნდა გამოვირკვიოთ უმცირესობა, ან უმეტესობა,—ესეც თვით გამოურკვეველი ოდნობა?—დიახ, უმცირესობისა და უმეტესობის ნახვა და განსაზღვრა საზოგადოებაში,—ეს ერთი თანსწორობაა ათასი გამოურკვეველი ოცნებით, ერთი გასოურკვეველივე ოდნობის გამოსარკვევად,—ე. ი. აბსურდი!..

მაგრამ დემოკრატები ამას არ დასდევენ. მათ აქვსთ ერთი უტლანქესი უუაბსურდესი წესი ამ გამოცანის გარკვევისა. ეს არის **არჩევნები**, რომლის შემდეგაც დეპუტატები არდგენენ საკონმდებლო კრებას, მიითვისებენ რა ხალხთა შორის უმრავალფეროვანეს განწყობილებათა განწესრიგების პრივილეგიას დიდის პრეტენზიებით, რასაკვირველია,

ამ ამორჩეულთ ჰქვიათ **ხალხის წარმომადგენლები.** ვის წინაშე?—როდესაც მეფის წინაშე არიან ხალხის წარმომადგენელნი, ე. ი. საღრმთო უფლების დროს, ამ სახელმწიფოს აქვს კიდევ აზრი და შინაარსი.*) მაგრამ რესუბლიკაში, ან მომავალ სოციალისტურ სახელმწიფოში?—ისინი წარმომადგენელნი არიან ხალხისა ხალხის წინაშე?—ეს აბსურდია, რადგანაც ხალხს თავის თავის წინაშე წარდგენა არც შეუძლია.—კანონის წინაშე?—მაგრამ თვით ჰქმნიან ესენი კანონებს და თვით არიან წარმომადგენელნი ურთი-ერთის წინაშე?—ეს კიდევ უარესი აბსურდია, რადგანაც ერთმანეთის წინ წარსადგომად ხალხი არც რესპულიკაში და მეტადრე სოციალისტურ სახელმწიფოში დეპუტატებს არ აირჩევს.

არავინ იფიქროს, რომ ეს სიტყვის კილოს გამობმა იყოს. ამას თავისი აზრი აქვს. მართლაც საღმრთო უფლების დროს, ინგლისში, მაგალითათ, ხალხი მართლა ჰგზავნიდა თავის **წარმომადგენლებს** მეფის წინაშე სხვა და სხვა საქმეთა მოსაგვარებლად, სათხოვნელათ და სხვა. აქედან წარმოსდგა თანამედროვე ინგლისის მეფისაგან თავისუფალი პარლამენტი.—**მაშინ იყო თვით ხალხზედ უფროსი ძალა,—საღმრთო უფლება**, ეს ძალა რეალურად არსებობდა და მის წინაშე **წარსდგებოდნენ** ხოლმე მონა ხალხის წარმომადგენელნი. ეხლა კი რესპუბლიკეელებში, ან მომავალ სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც სალხი **სუვერენია**, ან იქნება **სუვერენი**, რას ნიშნავს ამ სუვერენის **წარმომადგენელი**? სრულიად არაფერს, გარ-

---

*) იხ. ლევერდეს წიგნი პარლამენტარიზმის შესახებ.

და ძველი მონობის ახალის ფერით შეღებვისა, არაფერს გარდა იმისა, რომ ხალხი სრულიადაც **არ შეიძლება იყოს სუვერენი არავითარ სახელმწიფოში, არც ბურჟუაზიულში და არც სოციალისტურში, თორემ მას წარმომადგენელიც აღარ დასჭირდებოდა...**

მაგრამ მაინც დავანებოთ ამას თავი. ვსთქვათ, რომ ხეირიანია ეს სახელ-წოდება „წარმომადგენლისა“, დემოკრატები რომ ამბობენ,—ეს არის წარმოდგენა ხალხის „ინტერესთა“ მხოლოდ. მაგრამ ვიკითხოთ,—შესაძლებელია წარმომადგენლობა ინტერესთა? დემოკრატებს რომ ჰკითხოთ, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაშ რა ჯანაბაა, როცა არჩევნების დროს ხალხი კენჭ უყრის ხოლმე კანდიტატებსა და ამორჩეული დეპუტატები პარლამენტში მიდიან ამ ინტერესთა დასაცავად. (ვის წინაშე!) კითხვა კი ასე ტლანქად არა სწყდება, უბრალო არ არის არჩევნების შინაარსი, არც ისეთი, როგორც დემოკრატებსა ჰგონიათ.

წარმოვიდგინოთ, რომ ხალხის მიერ არჩეულნი პირნი მართლა არიან წარმომადგენელნი და გამომხატველნი ხალხის ნებისა და ინტერესთა. მაშინ გამოდის, რომ სუმმა ხალხის შემადგენელ ინდივიდთა ნებისა, ინტერესთა და მისწრაფებათა უდრის, ან ეთანხმება მათ წარმომადგენელთა ნებას, ინტერესთა და მისწრაფებათა. მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რამდენსამე კაცს შეუძლია გაიგოს სულის კვეთება და იდეალი ყოველ თავის ამომრჩევლისა, რიცხვი კი ამ უკანასკნელთა მილიონობით არის ყოველ სახელმწიფოში, რიცხვი დეპუტატთა კი ძლიერ მცირეა, რადგანაც ძლიერ დიდი რიცხვი აფერხებს ტეხნიკურად კანონმდებლობის საქმეს. მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამორჩეული პირი ყოვლის მცოდნეა, ყოვლის შემოქმედი და გამომხატველი მთელის საზოგადოების ნიჭისა, მთელი მისი ჰორიზონტები მას გათვალისწინებული აქვს წინდაწინ და შესაფერ კანონსა სდებს მომავალ სამოქმედოდ საზოგადოებისათვის; მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთ კაცს შეუძლია თითქმის ყველა განწყობილებანი ადამიანთა შორის გაითვალისწინოს, სისტემაში მოიყვანოს და თანახმად ამ სისტემისა განაწესრიგოს იგი, და სხვა ბევრი რამ ამგვარი აბსურდული რამ არის საჭირო იმისათვის, რომ ამორჩეული პირი ნამდვილი წარმომადგენელი და გამომხატველი იყოს მთელი სოციალური არსებისა. (მაშინ მთავრობა და ხალხი უნდა შევადაროთ სამკუთხედის საფუძველსა და მის პარალელურად გაყვანილ ხაზებს. თუმცა ყოველივე პარალელური ხაზი საფუძვლისა გაყვანილი სამკუთხედის შიგნით, ნაკლებია სიგრძით საფუძველზედ, მაგრამ როგორც ეს საფუძველი [illegible]სი პარალელური და მაზედ ნაკლები ხაზები შეესაბამებიან იმ კუთხის გრადუსთა რაოდენობას, რომლის წინააღმდეგაც საფუძველი და პარალელური ხაზები არიან გაყვანილნი. ხალხი ვითომც საფუძველია სამკუთხედისა, უუმცირესი პარალელური ხაზი მაგალითად—ხალხზედ რიცხვით ნაკლები მთავრობა. გრადუსთა რაოდენობა სამკუთხედის უმწვერვალეს კუთხისა,—„ინტერესები“, რომელიც ერთია მთავრობისათვისაც და ხალხისათვისაც!).

საზოგადოებაში კი ასე არ არის. მთავრობა თავის დღეში არ შეესაბამება ხალხს, როგორც მისი ინტერესები ხალხის ინტერესებს არ შეესაბამება. ამიტომაც იგი ვერ გამოჰხატავს ხალხს. ადამიანები ხაზები არ არიან. მათი გრძნობანი, მათი მისწრაფებანი, მათი მრავალგვარი ინტერესები, მათი იდეალი, მათი აზრი, მათი მთელი არსება იმგვარი სუმმაა ერთად, იმგვარი მოძრავი რამ, რომ მხოლოდ თვითეულ მათგანს შეუძლია ნაწილი თავის არსებისა გადაბას და შეუერთოს სხვისი არსების აგრეთვე ერთ შეიძლება უმცირეს ნაწილს, და წესი ამ შეერთებისა იცვლება მუდამ, შეიძლება დღეობით, თვეობითა და წლობით, იმისდა მიხედვით, თუ რა ნაწილები უერთდებიან ერთმანეთს ადა-

# ფელეტონი

## მეცნიერება

—

გასაოცარია, რად არაფერს არ ამბობდნენ აღმოჩენებზე თორმეტი წლის (1845-1859 წ) განმავლობაში. მარქსი და ენგელსი ამ დროს სწერდნენ ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ჟურნალებში. 1847წ. ენგელსი თანამშრომლობდა ფლოკონისა და ლედრიუ-რელენის გაზეთ la Reforme-ში. თავის წერილებში ლონდონიდან ენგელსი სწერდა ყოველ ფრაზაზე, ყოველ სტატიაზე მარქსისა და აგრეთვე თავის საკუთარ ფრაზებზე და სტატიებზე და დიდებულ აღმოჩენებზე კი კრინტსაც არ სძრავდა. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ სწორედ მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ და სწერდნენ კლასიურ ბრძოლაზე, ეკონომიურ ფაქტორებზე ისტორიაში და სოციალურ წეს-წყობილებაში. ისტორიკოსები: ტიერი, მიშლე, ლუი-ბლანი, გიზო, სოციალისტები — ჰეკერი, ვიდალი, ვიქტორ-კონსიდერანი; პოლიტიკო – ეკონომიურ რეფორმატორები ბიურე, ვილერმე, ადოლფ-ბლანკი,—ყველანი ცოტა თუ ბევრად ეხებოდნენ ამ კითხვებს. რისთვის მარქსი და ენგელსი, რომელნიც ბევრსა სწერდნენ მაშინ, ხმასაც არ იღებდნენ იმ აღმოჩენებზე, რომლებმაც გარდაქმნეს მთელი კაცობრიობის აზროვნობა და შეჰქმნეს სრულიად ახალი ფენომენი: პარტიისა და არა კაცობრიობის მეცნიერება? ნუ-თუ თავმდაბლობის ბრალია ეს? შესაძლებელია, თუმცა საეჭვოა, რადგან მაგისთანა ნაკლულევანება ენგელსს არაოდეს არ ჰქონია და განსაკუთრებით ოთხმოციან და ოთხმოც-და-ათიან წლებში, როცა ის წამ-და-უწუმ ლაპარაკობდა დიდებულ, 1845 წელს და არა უფრო გვიან უკანასკნელად შემუშავებულ აღმოჩენებზე. მაგრამ მაინც საკვირველია, რომ ამ აღმოჩენის შესახებ ისტორიაში დიდებულად დასახულ 1845 წლიდან 1859წ. პარტიულ მეცნიერების მამათ მთავრებმა დასწერეს კომუნისტური მანიფესტი, რომელიც როგორც შაგირდი იმეორებს 1847წ. ვ. კონსიდერანის მანიფესტს, რომელშიაც ისინი აღნუსხავენ თავიანთ ისტორიულ და კლასიურ შეხედულებებს. ამას გარდა მათ დაგვიტოვეს კიდევ 20 სტრიქონი „Zür Kritik-ის წინასიტყვაობისა, დაწერილი 1859 წ.

მაგრამ შეიძლება ენგელსი შესცდა აღმოჩენების დატების აღნუსხვაში? შეიძლება სიბერეში მას მახსოვრობამ უღალატა? მართლაც მან ხსენებული წინასიტყვაობები და რამდენიმე კომპილიაციები—სხვათაშორის მორგანისა—დასწერა მაშინ, როცა სამოც წელს გადასცილდა. ჩვენ გვირჩევნია შემდეგი წინააღმდეგობები ავხსნათ ენგელსის მახსოვრობის ნაკლულევანებით, რომ არ ვიყოთ იძულებული სხვა ახსნა ვეძებოთ. აი რამდენიმე მაგალითი წინააღმდეგობისა. მანიფესტის დასაწყისში მარქსი და ენგელსი სწერდნენ 1848 წ.: „კომუნიზმი არის ცნობილი ძალად ეხლა ყველა ევროპიულ სახელმწიფო-

?იანთა არსებისა,—შეიძლება აგრეთვე საუკუნოებითაც იცვლებოდეს ზოგიერთი წესები ადამიანთა არსთა კოორდინაციისა,—მაგრამ მთელი მაჲი არსების შეერთებისა და საერო მოქმედების განწესრიგების პრეტენზია ადამიანთა მასსისაგან რამდენიმე ამორჩეულთა პირთა მიერ, / ომელნიც თავის დღეში ვერ გამოჰხატვენ ამ საერთო ნე?ათა, სურვილთა და მისწრაფებათა, ყოვლად შეუძლებელი და აბსურდი რამ არის. ამიტომაც არის, რომ ყოველი მთავრობა მხოლოდ უმცირეს რიცხვს ადამიანთა მასის განწყობილებათა აწესრიგებს კანონით, და ამ უმცირესი რიცხვის განწესრიგება კანონით გვიხუთავს სულს, გვართმევს **თავისუფლებას**, ე. ი. გვიფარგლავს მოძრაობის წრესა და გვიკრძალავს მრავალ გვარ მოძრაობათ. დღეს შეიძლება ჩვენ შორის განწყობილებათა უმცირესი პროცენტიც არ იყოს სახელმწიფოს მიერ ბრჭყალ-ჩაკიდებული და ესეც გვეჩვენება მონობად, ამის წინააღმდეგ ვიბრძვით, რევოლიუციათა ცეცხლში ვვარდებით. დანარჩენი, დიდი უმეტესი ნაწილი ჩვენ შორის განწყობილებათა კი არსებობს თავისუფლად, ანარქიულად კაცთა შორის. როგორი მონობა იქმნებოდა კაცთა შორის, რომ ყველა ჩვენი განწყობილებანი კანონით იყვნენ განსაზღვრულნი! ეს იქმნებოდა იდეალური მონობა.

ამიტომაც არის აგრეთვე, რომ რაც უფრო დესპოტიურია სახელმწიფო, მით უფრო დიდია რიცხვი კანონთა და ბრძანებათა, და ადამიანთა გამანთავისუფლებელ ბრძოლაში საუკეთესო დადგენილ კანონთაგანნი არიან კანონნი, რომელთაც **მოსპეს** ძველი დესპოტიური კანონები. საზიზღრობის მოსპობა დიად შედეგებად მოგვეჩვენება ხოლმე მონობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამრჩეულ პირთ მაინც აქვსთ პრეტენზია ხალხის სულისა და გულის, ხალხის ნებათა და მისწრაფებათა, ხალხის ინტერესთა გამოხატვისა, და სწორედ რადგანაც ეს შეუძლებელია, სწორედ ამიტომ იხატება ეს მათი პრეტენზია ასე ტლანქად, ასე აბსურდულად,—**კანონმდებლობაში**, რომელიც წარმოუდგენელია უძალ-მომრეობოდ.

ამორჩეულნი არ არიან მაშასადამე არც წარმომადგენელი, არც დამცველნი ხალხის ინტერესთა, არც გამომხატველნი მისი საერთო ნებისა და სურვილისა, არამედ **კანონმდებელნი** და სხვა არაფერი!

აქ არის ძირი უმცირესობისა და უმრავლესობის პრინციპის ნამდვილ უნიადაგობისა და პირ[illegible]-ყოფისა.

მთელი ხალხის შეკრება ყოველ დღეს, ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია,—მის მაგიერ კანონმდებელი სწყვეტს მრავალ კითხვას **და ეს კანონმდებელი კი მისი არც გამომხატველია და არც წარმომადგენელი.** არჩეულთა რიცხვი კი ერთად უუმცირესი ნაწილია მთელი ხალხისა,—მაშასადამე, დემოკრატების მიერ უმეტესობის თაყვანის ცემის მიუხედავად, ჩვენა ვხედავთ ხალხის მასსაზედ უსასტიკეს ბატონობას მცირე **უმცირესობის მხრივ.**

ხან და ხან ამბობენ, რომ თუ ხალხს არ მოეწონა თავისი არჩეული პირები, გამოსცვლისო, მაგრამ წელიწადში თორმეტჯერაც რომ გამოსცვალოს, ამითი საქმეს არა ეშველება-რა. საქმე აქ დროში კი არა, პრინციპშია.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. კანონმდებელთა კრებაში კითხვა ყოველთვის ხმის უმეტესობით სწყდება. მაშასადამე, ხალხზედ ბატონობს კიდევ უფრო მცირე უმცირესობა, ე.ი. დეპუტატთა უმეტესობა, ხანდახან ერთი ხმის უმეტესობაც! და დეპუტატთა პირადი ხასიათი, მათი გუნება კანონის შემუშავებისდროს, პირადი ჯიბრი კოლლეგათა შორის,

---

ოაგან"—1893, ე. ი. 45 წლის შემდეგ, ციურიხის კონგრესზე ენგელსი გვარწმუნებს, რომ „მაშინ (ორმოციან წლებში) სოციალიზმი წარმოდგენილი იყო რამდენი პატარა სექტებიდან *).

პატარა სექტები ცნობილი იყვნენ „ძალად", ითვლებოდნენ საშინელ მოჩვენებად? ვინ არის აქ მართალი—მარქსი და ენგელსი ერთად, თუ მხოლოდ ენგელსი?

აი კიდევ მაგალითი—სიბერეში ენგელსმა მოისურვა ლუის მორგანის პოპულიარულ თხზულების „ძველი საზოგადოების" შინაარსის გადმოცემა. ეს წიგნი პირველ ხარისხოვანი, ინდუქტიურ მეტოდით დაწერილი წიგნია აუარებელ ცოდნის მქონე მეცნიერისა. პირველი ნაწერები მორგანისა ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნებულ იქმნენ 1847 წ., მაგრამ, რადგან მარქსმა და ენგელსმა შეჰქმნეს თავიანთი „დიდებული ილმოჩენები" 1845 წ., ეს შეძლება აძლევს ამ უკანასკნელს შემდეგი სტრიქონების დაწერისას თავის პოპულიარიზაციის წინასიტყვაობაში: „მორგანმა თავისებურად **ხელ ახლად** აღმოაჩინა ამერიკაში ეკონომიური (მატერიალისტური) ახსნა ისტორიისა, რომელიც აღმოჩენილი იყო მარქსის მიერ ორმოცი წლის წინად". *) ამას რომ წაიკითხავთ, რასაკვირველია, დაეწაფვით ენგელსის პოპულიარიზაციას, რათა გაიგოთ თუ როგორ მოხდა, რომ ორმა მეცნიერმა, რომელთაგან ერთი ინდუქციის მომხრეა და მეორე დიალექტიკოსი, ერთსა და იმავე დრო და ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად მოახდინეს ერთი და იგივე აღმოჩენა. ენგელსი არავის არ დაივიწყებს **).

გადმოგვცემს რა მორგანის მიერ განარჩევ გროტის აზრებს საბერძნეთის ტომებზე, ენგელსს მოჰყავს შემდეგი ვითომ და მარქსის შენიშვნა: „შევნიშნავთ ბ. გროტს, რომ თუმცა ბერძნები მომდინარეობდნენ თავიანთ ტომის მითოლოგიიდან, ეს ტომები უფრო ძველია ვინემ მითოლოგია და მისი ღმერთები, და ნახევარ ღმერთები".

ეს შენიშვნა კაპიტალური, პირველხარისხოვანია, რადგან ის არღვევს იმ ლეგენდას, რომლის აზრით ვითომ კაცობრიობის განვითარების დასაბამი ღვთაებრივი, ზესთაბუნებითი იყოს. ეს შენიშვნა დიდად პატივსაცემად ჰხდის მის ავტორს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ენგელსს კიდევ მახსოვრობამ უმტყუნა: ეს შენიშვნა დიალექტიკოს მარქსს კი არ ეკუთვნის, ის ინდუქციის მომხრე მეცნიერის, მორგანისაა და უბრალო სიტყვებზე დამყარებული შენიშვნა კი არ არის, ის შედეგია უზარ-მაზარ ფაქტთა რიცხვის დაკვირვებულ ანალიზისა. 228 გვერდზე, 11—14 სტრიქონში ზევიდან ვპოულობთ ჩვენ მორგანის დასკვნას გროტის აზრთა ანალიზიდან:

„მოყვანილი **ფაქტები**, ამბობს მორგანი, გვიმტკიცებს, რომ ტომები არსებობდნენ მითოლოგიის შექმნამდი ბევრად უფრო ადრე. უფრო ადრე, ვინემ იშობოდა ადამიანის გონება-

---

*) იხ. „ნობათი" № 2.

*) ჩვენ ხელში არ გვაქვს ენგელსის წიგნის რუსული თარგმანი. მკითხველი ციტატებს ნახავს მე-IV თავში, იქ, სადაც ლაპარაკია საბერძნეთის ტომზე—გროტით.

**) ქვევით ვნახავთ, რომ აღმოჩენაში ენგელსიც იღებდა მონაწილეობას.

კითხვათა არ ცოდნა,—რადგანაც კანონმდებლობას პრეტენზია აქვს ყოველივე მოაწესრიგოს და ყოვლის მცოდნე და მომწესრიგებელი კაცის ნახვა კი შეუძლებელია მეტადრე დეპუტატობის მსურველთა შორის,—კიდევ სხვა მრავალი პირობა ისეთ-ნაირ საცოდავ და აბსურდულ სურათს წარმოადგენს თვით სოციალისტურ მომქმედ კანონმდებლობისას, სახელმწიფოშიაც რომ არა თუ უმეტესობის ინტერესი და მისწრაფება არ იხატება მათ მიერ დადგენილ კანონებით, არამედ უნიჭოთა და უდიერთა დესპოტიზმი განხორციელდება მთელი ხალხის მასსაზედ. (**ამიტომაც სოციალისტური სახელმწიფო არ იქნება თავისუფალი უუსაშინელეს რევოლიუციისაგან.**)

მაშ ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ მთავრობას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, შეეძლოს გამოხატვა ხალხის უმცირესობის ან უმრავლესობის სურვილისა, ნებისა და მისწრაფებისა? კიდევ ვიტყვით,—რასაც კანონი ჰხატავს, ეს ძალით თავზედ მოხვეული გადაწყვეტილებაა რამდენიმე პირთა საზოგადოებისათვის, რომელიც მონობაში ვარდება მაშინვე, როგორც თავის ბედ-იღბალს მიანდობს თუ გინდ საუკეთესო ამორჩეულთაც, თუ გინდ სოციალისტურ საზოგადოებაშიაც.

ამგვარად ვერც უმრავლესობა-უმცირესობის პრინციპი უძლებს კრიტიკას. მაზედ დამყარებული კანონი არაფრით არ განირჩევა უბრალო, ძველ და თანამედროვე დესპოტიურ კანონისაგან.

ვერც სოციალისტური სახელმწიფო შორდება მონობასა და დესპოტიზმს, თუ ერთი დაწესებულება მაინც დასტოვა თანამედროვე სახელმწიფო ორგანიზაციისა, რომლის სულიც იქმნება **კანონი**, და მაშასადამე ძალ-დატანება.

დაანებეთ თავი თუ გინდ კოლლექტივისტურ სახელმწიფო სოციალიზმსაც, სადაც საქირაო შრომა და თითქმის კერძო საკუთრებაც რჩება, მხოლოდ შეცვლილი ფორმით, და ამიტომ იწვევს აუცილებელ სახელმწიფო ორგანიზაციას საზოგადოებაში,—აიღეთ რომელიც გინდათ საზოგადოება, განთავისუფლებული ყოველივე ეკონომიურ მონობიდან, მხოლოდ ერთი, უმცირესი დაწესებულება დასტოვეთ თანამედროვე სახელმწიფოისა, დასტოვეთ მცირე შთანაჩენი სახელმწიფო ორგანიზაციის პრინციპისა, დაუტოვეთ სრულიად უმცირესი ასპარეზიც მმართველობასა და კანონმდებლობას,—და მცირე ანალიზიც კი მიგიყვანსთ იმ დასკვნამდის, რომ **კანონი** აუცილებლად დესპოტიზმის სულად უნდა გადიქცეს, მუდამ თავს დასტრიალებდეს ტანჯულ ადამიანს; თქვენ წინ გადიშლება [illegible] მალე ისევ თანამედროვე მონობის სურათი და იტყვით: სანამ იმისთანა ანტისოციალური მოვლენა, როგორც კანონმდებლობა და მართველობა, არ მოისპობა, მანამ დანაშაული და მონობა კაცობრიობის ხვედრი იქნებაო.

ვინ უნდა გვმართოს? ისევ კაცებმა, მათ უნდა დაგვიწესონ წესნი ჩვენი მოქმედებისა, მათ უნდა გაგვსაჯონ, მათ, რომელთაც მხოლოდ **არჩევით** აქვსთ ეს უფლება,—ამ აბსურდულ და ტლანქი საშუალებით,—მაშინ როდესაც შეიძლება მათგან განსჯილი და განწესრიგებული მოქმედება ადამიანისა ბევრად მაღლა იდგეს და უფრო ზნეობრივი იყოს, ვიდრე მათი საკუთარი, ბ.ბ. კანონმდებელთა და მსაჯულთა ზნეობა და მოქმედება.

მარტო ამ კანონმდებლობისათვის და განსჯისათვის სდგანან ისინი ყოველ დამნაშავეზედ უფრო დაბლა, სხვაფრივაც რომ წმინდანები იყვნენ.

მართალი იყო ბრძენი სოკრატი, როდესაც ეუბნებოდა აღარ მახსოვს რომელ ათინელ კეთილშობილს, რომელსაც ქვეყნის მართვა მოესურვებია: შენ რომ შენი ცოლი ვერ შეგიკავებია და შენი მამულისთვის ვერ მოგივლია, ერ-

---

ში წარმოდგენა იუპიტერზე ან ნეპტუნზე, მარსსა და ვენერაზე. აგრე მორგანი, რომლის წიგნს ფურცელ-ფურცელ მოგვითხრობს ენგელსი, რისთვის აწერს ის მორგანის აზრს მარქსს? განა უკანასკნელს უწერია ოდესმე გამოკვლევები გროტის წინააღმდეგ ბერძნულ მითოლოგიაზე ან პირველყოფილ მდგომარეობაზე საბერძნეთისა? არა, პირველყოფილ ტომთა მდგომარეობაზე არაფერი მაგგვარი მარქსს არ დაუწერია, როგორ მოხდა ის, რომ ენგელსი, რომელსაც მორგანის წიგნი წინ ედვა, აწერს მარქსს მორგანის აზრებს? ეს კითხვა ენგელსის გულმავიწყობით და მახსოვრობის ღალატით არ შეიძლება იქნას ახსნილი: მის თხუზულებაში აღმოვაჩინეთ გადაკეთებული მორგანის თხზულების და არა მარქსისა მთელი გვერდი. მაგრამ ვსთქვათ, რომ აქაც მოხუცს ენგელსს ხსოვნამ უღალატა და შეცდომით მიაწერა მან თავის გარდაცვალებულ მეგობარ დიალექტიკოსს, რომელსაც ის სტიროდა, „შემოფარგლულად მოაზრე", ინდუქციის მომხრე მეცნიერის შრომების დასკვნები. მაგრამ როგორ გინდათ გავიგოთ შემდეგი ადგილი კიდევ იმავე ტომების და გროტის შესახებ? როგორ გავიგოთ ის ადგილი, სადაც ორ გვერდით მოყვანილ ციტატის წინ, იქ, სადაც ენგელსს მორგანის წიგნის 222 და 223 გვ. მოჰყავს ათი უმთავრესი უფლება და ვალდებულება საბერძნეთის ტომებისა? მეექვსე და მეშვიდე პუნქტთა შორის ენგელსს შეაქვს ერთი საცოდავი პატარა ფრაზა მორგანის მეექვსე პუნქტის ანალიზისა და შემდეგ უცებ აცხადებს:

აქ გროტი ჩერდება, მარქსი კი უმატებს: „მაგრამ საბერძნეთის ტომებში ჩვენ ვსცნობთ ველურებს,—იროკვეზებს, მაგალითად".

ვკითხულობდი ამ სტრიქონებს და მიკვირდა, საშინლად მიკვირდა: სწორედ ამ სიტყვებით იწყება ახალი სტრიქონი მორგანის მეექვსე პუნქტის **ხელოვნურ** ანალიზისა. (გვ. 222. სტრიქონი 16 და ნახევარი მე-17-ისა) „მგზავსება საბერძნეთის და იროკვეზების ტომებს შუა—ერთობ ადვილი შესამჩნევია", ამბობს მორგანი და არა მარქსი. საიდან სად ჩააკერა ენგელსმა აქ მარქსი? ამ გასაკვირველ და ერთად-ერთ ლიტერატურულ კაზუსის შესახებ უადგილოა ენგელსის გულმავიწყობაზე ლაპარაკი, ენგელსი მხოლოდ იწერს პუნქტს პუნქტზე მორგანიდან, ხოლო მიაწევს მეექვსე პუნქტს, ჩერდება, რომ ჩაუმატოს მორგანისვე ანალიზი მეექვსე პუნქტისა და მერმედ განაგრძობს გადმოწერას მეშვიდე და სხვა პუნქტებისას, რა-კი მიათვისებს მარქსს მორგანის სიტყვებს. ამ სხვის ნაწერის ქვევით მარქსის სახელის მოწერა იქადაგების ენგელსის და სხვა დიალექტიკოს „მეცნიერების" მიერ როგორც ნამდვილი მეცნიერობა. ჩვენთვის, უბრალო მომაკვდავთათვის, კი ერთის ხელთნაწერის, ან თხზულების ქვეშ მეორესაგან ხელის მოწერას ჰქვია... რა —იცის თვით მკითხველმა. მკითხველმა კი იცის, ხოლო დიალექტიკოსთა ენაზე მეცნიერული დიალექტიური ტრიადა ჰქვია. მორგანმა მშვენიერი ინდიქტიური თხზულება დასწერა,—ეს ტეზისია; ენგელსი სწერს ამ შესამჩნევ წიგნის დიალექტიურ პოპულიარიზაციას,—ეს პირველი უარყოფაა (დიალექტიური ინდუქციის); მერმედ საუკეთესო ინდიქტიურ აზრებს და დასკვნებს აწერს

თი მითხარი, როგორ უნდა უპატრონო და მოუარო მთელ ქვეყანასაო.

ეხლა კი ბევრსა რცხვენია ბრძნის ამ სიტყვებისა, როგორც შერცხვა ათინელ კეთილშობილს, ოდეს ისმინა იგინი სოკრატისაგან? არა გვგონია!.. მაგრამ მკითხავენ, —მაშ რაა **საზოგადოებრივობა თუ არა კანონი?** სულ სხვა რამ. საზოგოებრივობა კანონი არ არის, იგი მისი წინააღმდეგია, არა თუ იგივე ცნება, რაიცა კანონი.

ამაზედ შემდეგ.

Bâton.

---

## ეკონომიურ მონიზმის კრიტიკა

### III

გადავიდეთ ეხლა და გავარჩიოთ მარქსიზმის უმთავრესი პრინციპი, რომელიც წამოყენებულია წინ, როგორც სოციოლოგიურ მეცნიერების და საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძველი: ეს არის ეკონომიური მონიზმი. ჩვენი მიზნისათვის უპირველესათ საჭიროა მოვიყვანოთ უფროს და უმცროს მარქსისტების განსაზღვრა ეკონომიური მონიზმისა, რომელსაც აგრეთვე ისტორიულ მატერიალიზმს ეძახიან, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი სახელი არ ეთანხმება იმ შინაარსს, რომელსაც შიგ ასხმენ მარქზისმის მიმდევარნი. ამიტომ ჩვენ, როგორც ბევრი მარქსისტებიც, მარქსის ისტორიულ მოძღვრების აღსანიშნავად ვიხმართ, როგორც ფორმულას, ეკონომიურ მონიზმს. გარჩევის გასაადვილებლად განსაზღვრის ზოგიერთ ნაწილებს დავნიშნავთ ციფრებით.

I მარქსი თავის ,,პოლიტიკურ-ეკონომიის-კრიტიკაში“ იძლევა შემდეგს, კაუცკის სიტყვით, კლასსიურ განსაზღვრას: 1. „საზოგადოებრივ წარმოებისათვის ადამიანები შედიან აუცილებელ, განსასღვრულ და მათ სურვილისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობაში, 2 წარმოების ურთი-ერთობებში, რომლებიც შეეფერებიან მათ მატერიალურ წარმოებითი ძალების განსაზღვრულ სტადიებს განვითარებისას. 3. ყველა ერთად ეს საწარმოვო ურთიერთობანი შეადგენენ ეკონომიურ ნაშთს საზოგადოებისას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც დამყარებულია იურიდიული და პოლიტიკური ნაშენი. 4, და რომელსაც შეეფერება განსაზღვრული ფორმები საზოგადოებრივი შეგნებისა. 5. წარმოების წესი საზოგადოთ განსაზღვრავს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და გონებრივ მოქმედებას. ადამიანის შეგნება კი არ განსაზღვრავს მის ცხოვრებას, არამედ წინააღმდეგ. მისი საზოგადოებრივი არსებობა განსაზღვარავს მის შეგნებას. 6. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მატერიალური მწარმოებელი ძალები შეიქმნებიან არსებულ წარმოებითი ურთიერთობათა წინააღმდეგ ან, იურიდიული თქმით, საკუთრების ურთიერთობა, რომლებიც მანამდის არსებობდნენ. მაშინ დგება რევოლიუციონური ხანა. ეკონომიურ საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მეტ ან ნაკლებ სწრაფად ინგრევა მთელი უზარმაზარი დანაშენი. 7. ამნაირ დანგრევათა განხილვის დროს საჭიროა, მუდამ ვარჩევდეთ მატერიალურ, ბუნებრივ მეცნიერულად აღნიშნულ წარმოების ეკონომიურ პირობების ცვლილებებს იურიდიულ, პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ, სამხატვრო ან ფილოსოფიურისაგან— ერთი სიტყვით იდეოლოგიურ ფორმებისაგან, რომლების საშუალებით ადამიანები შეიგნებენ ამ კონფლიკტს და რომლებშიაც ისინი იბრძვიან. 8. რამოდენად იმით, რასაც ფიქრობს თავისთავზე ინდივიდი, არ შეიძლება განსჯა იმისა, რომ რა არის ის, იმოდენადვე არ შეიძლება განსჯა ამ რევოლიუციათა ხანების მათი შეგნებით; წინააღმდეგ, საჭიროა ახსნა ამ შეგნების მატერიალურ ცხოვრების უკულმართობით, არსებული კონფლიკტით საზოგადოებრივ მწარმოებელ ძალებს და წარმოების ურთიერთობათა შორის. 9. საზოგადოებრივი ფორმა არასოდეს არ იღუპება მანამ, სანამ არ გან-

---

დიალექტიკოსი მარქსის სახელს და გამოდის სინტეზი, უარყოფის უარყოფა. (ინდუქცია ხელახლად იჭერ დიალექტიკის ადგილს, მაგრამ დიალექტიკოს მარქსის სახელით!)შესანიშნავი მეტოდია. შესანიშნავი, დიალექტიკურ-შემოქმედებითი მეცნიერებაა! ამას გარდა რა გასაკვირველი კეთილ-სინდისიერობაა, გრძნობის აღმძვრელი სულგრძელობაა უცნობ მორგანის აღმოჩენათა და აზრთა გამოქვეყნება ბრწყინვალე მარქსის სახელით—იმას აღარ იკითხავთ?!..

დავუბრუნდეთ კიდევ ჩვენს საგანს— „მეცნიერობას“ და დიდებულ აღმოჩენებს დიალექტიურ სკოლისას. აქნამდის რაც ვნახეთ მარქს-ენგელსის „აღმოჩენების“ შესახებ, ის რაა, რაც ვნახეთ, ის მხოლოდ ყვავილი იყო, ნაყოფს აწ ვნახავთ. თავის მორგანის შინაარსის გადმოცემაში ენგელსი, რაკი მიაღწევს მე-IX თავს, აცხადებს, რომ „აქედან მოკიდებული მარქსის „კაპიტალი“ აგრეთვე საჭიროა, როგორც მორგანიო“. მაგრამ თავის გულმავიწყობის წყალობით, ენგელსი გადმოგვცემს შინაარსს მხოლოდ მორგანისას. რაც შეეხება მარქსს, ის იხსენიებს მას მხოლოდ ერთხელ იქ, სადაც მორგანისამებრ ენგელსი გვიხსნის წარმოშობას კერძო ოჯახის, ძმობების და ხალხოსნობისას, სხვათა შორის, აღმოცენებულ კერძო საკუთრების ზეგავლენით. ამასთანავე ენგელსი მარქსს აწერს იმ აზრს, რომ უთანასწორობა და ერთთ მეორეებზე ბატონობა არ იჩენდა თავსაო, „რომ თვით ტომთა ქონებრივობით უთანასწორობას არ დაერღვია ერთობა ინტერესთა და არ გადაექცია ის ბრძოლად უცხოებთან“. მხოლოდ ეს მიაწერა ენგელსმა მარქსს და ესეც გულმავიწყობით. ეს ვითომდა მარქსის სიტყვები კიდევ მორგანს ეკუთვნის. გვ. 505 (hise of property), 231 (The growth of theidea of property etc. etc.), (This, with property and efficient position etc etc.) და სხვა კიდევ ბევრ გვერდზედ და განსაკუთრებით მე-6 და მე-7-ზე, სადაც მორგანი შესავალ შენიშვნებს იწყებს სიტყვებით Lastly the idea of property... etc. ჩვენ წამდაუწუმ ვხვდებით იმ კაპიტალურ აზრის განვითარებას, რომელიც ენგელსმა თავის გულმავიწყობის გამო კიდევ მარქსს მიაწერა.

მაგრამ გულმავიწყობის უმაღლეს წერტილს ენგელსი აღწევს თავის პოპულიარიზაციის დასკვნაში. წაიკითხა 552 გვ. მორგანის შესანიშნავი ჟენერალიზაცია იმის შესახებ, ცივილიზაციას კაცობრიობა მიჰყავს იმ წეს-წყობილებისაკენ, სადაც უმაღლეს ხარისხის საზოგადოებრივობა იქნება დამყარებული, იმ სამეფოსაკენ, სადაც ნამდვილი თანასწორთა, განათლებულთა თავისუფლება იქნება, რომელნიც იცხოვრებენ სრულის თანხმობით, შორს ყოველ სავალდებულო, ძალადობრივ და სახელმწიფოებრივ ნორმებისაგან „it willbc a revival en a higher form, of the liberty, equality and fraternity of the encieut gentes“, ე. ი. სახელმწიფოს შექნამდის არსებული ფორმა ცხოვრებისა, მაგრამ გამდიდრებული თანამედროვე კულტურით, დაიჭერს ადგილს თანამედროვე და მომავალ სოციალ-დემოკრატიულ სამხედრო-პოლიციურ სახელმწიფოსას. წაიკითხა მან (ენგელსმა) და მოეწონა ეს დასკვნა კა-

ვითარდებიან ყველა საწარმოვო ძალები, რომლებისთვისაც ის საკმაოთ ფართოა; წარმოების ახალი ურთიერთობანი არასოდეს არ გამოჩნდებიან მანამ, სანამ მატერიალური პირობები მათი არსებობისა არ გამოჩნდებიან თვით საზოგადოების გულში. 10. ამიტომ კაცობრიობა ისახავს ყოველთვის ამოცანებს, რომლების გადაწყვეტა შეუძლია, იმიტომ რომ უფრო სწორი გამოკვლევით ყოველთვის გამოჩნდება, რომ ამოცანები ჩნდებიან მხოლოდ იქ, სადაც არსებობენ ან არიან მაინც შექმნის პროცესში იმათ გადაწყვეტის მატერიალური პირობები. 11. საზოგადოთ, თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეიძლებოდა და გვეთქვა აზიური, ანტიკური, ფეოდალური და თანამედროვე ბურჟუაზიული წარმოების ფორმებისათვის თანდათან პროგრესიულად მოძრავი ხანები ეკონომიურ საზოგადოებრივ წყობილებისა. 12. ბურჟუაზიული ურთიერთობანი წარმოებისა არიან უკანასკნელი უკუღმართული ფორმა საზოგადოებრივ წარმოების პროცესსისა—უკუღმართული არა ინდივიდუალური ანტაგონიზმის აზრით, არამედ იმ ანტაგონიზმის აზრით, რომელიც გაიზარდა ინდივიდუმების საზოგადოებრივ ცხოვრებითი პირობებისაგან: მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოების გულში ვითარდებიან საწარმოვო ძალები, რომლებიც ამასთანავე ჰქმნიან ნივთიერ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაწყვეტად. 13. ამ საზოგადოებრივ ფორმით მთავრდება პირვანდელი ისტორია (vordesehichte) კაცობრიულ საზოგადოების."

II ნაპოლეონის თაობაზე დაწერილ თხზულებაში (1852-წ.) მარქსი ამბობს:

„საკუთრების სხვა და სხვა ფორმებზე, არსებობის საზოგადოებრივ პირობებზე დამყარებულია მთელი დანაშენი სხვა და სხვა ორიგინალურად გამოსახულ მიჩნევათა (воспріяаній), ილლუზიეზისა, აზროვნების ფორმისა და მსოფლ შეხედულებათა. 2 მთელი კლასსი ჰქმნის და სახეს აძლევს მათ მის ნივთიერს საფუძვლებიდან და შესაფერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძვლით ცალკე პირადობას, რომელიც მიიღებს მათ გადმოცემით და აღზრდით, შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ისინი შეადგენენ ნამდვილ საფუძვლებს მის გადაწყვეტილებისას და მისი საქციელის მეთაურ პუნკტებს." (გვ. 34)

III იდეოლოგია, რომელიც აქ კოლლექტიურად არის დასახული, გარჩეული იქნება მაშინ, როდესაც ვილაპარაკებთ კლასობრივ პრინციპზე.

კაპ. სტ. 163 გვ. მარქსი თავის კაპიტალში ამბობს, რომ რომ: 1 „შრომა უწინარეს ყოვლისა არის პროცესი, რომელიც წარმოებს კაცს და ბუნებას შუა, პროცესი, რომელშიაც კაცი აწესრიგებს და კონტროლს უშვებს თავის საკუთარ მოქმედებით თავის ნივთიერების აღებ მიცემობას ბუნებასთან. 2 მას მოჰყავს მოძრაობაში თავისი საკუთარი ბუნებრივი ძალები, ხელები, ფეხები, და თავი, იმისთვის რომ შეითვისოს თავის ცხოვრებისთვის გამოსადეგი სახით ბუნებისაგან მოცემული მასალები. 3 მოქმედობს რა ამ მოძრაობათა საშუალებით ბუნებაზე, ის განავითარებს თავის თავში ჩათვლემილ ძალებს და დაუქვემდებარებს ამ ძალთა თამაშს თავის ძალას. 4. აქ ჩვენ არ ვლაპარაკობთ პირველ ცხოველურ ინსტიკტიურ შრომის ფორმებზე. ჩვენ ვამბობთ შრომის იმ სახის ფორმაზე, რომელიც განსაკუთრებით კაცს ეკუთვნის. 5. ობობა ასრულებს ოპერაციებს, რომლებიც ჰგვანან მქსოველის მოქმედებას, და ფუტკარი აჭარბებს თავის ფიჭების შენებით მრავალ ადამიანურ მაშენებლების შენობებს. 6. მაგრამ უგლახესი ამშენებელი განირჩევა უკეთესი ფუტკრისაგან იმით, რომ ის აშენებს თავის უჯრედს უფრო ადრე თავში, ვინემ გააკეთებდეს მას სანთლიდან. შრომის პროცესის ბოლოში მივიღებთ ნაყოფს, რომელიც უკვე არ-

---

ცობრიობის ბრწყინვალე მომავალის შესახებ. სწორედ ამ დროს გამოვიდა წიგნი მეორე დიდებულ და ინდიქციის მომხრე მეცნიერის—სპენსერისა—„Individual versus the state", სადაც სახელმწიფო ისეთსავე მავნე ცრუმორწმუნოებად, ისეთსავე მოგონილ ფეტიშად არის დასახული, როგორიც იყო პაპობა და ერთი და განუყოფელი კათოლიკეთა ეკკლესია სინიდისის და აზროვნობის განსათავისუფლებლად მომხდარ სარევოლიუციო მოძრაობამდის რეფორმაციის დროს. ამასთანავე ენგელსმა შეიტყო, რომ ტოლსტოი ძალიან უყვარს ხალხს მის მიერ სახელმწიფოს წინაალმდეგ ქადაგების გამო. ამას გარდა მან შეიტყო, რომ წყეული ანარქისტებიც, რომელთაც თვითონ ის, მარქსი, ლიბკნეხტი, აველინგი, პლეხანოვი, უტინი და სხვა კიდევ უთვალავი რიცხვი მეცნიერების, პოლიტიკის და... გმირებისა აქარწყლებდნენ, მრავლდებიან თვით გერმანიაშიაც-კი. მან შეიტყო, რომ დასავლეთ ევროპაში ყველა **რევოლიუციონერები** სტოვებენ ბაირაღს სახელმწიფოებრივ სოციალიზმისას და ემხრობიან ანარქისტებს, ე. ი. კომუნისტ-რევოლიუციონერებს, რომელნიც იბრძვიან ერთ და იმავე დროს სახელმწიფოსა და კაპიტალის წინაალმდეგ. მან შეიტყო ყველა ეს და გადასწყვიტა, რომ არ გაეშვა ეს აზრი დიალექტიკის დალის დაუსმელად. მაგრამ აქ მიხვდა, რომ შეუძლებელი იყო სახელმწიფოს უარყოფაც მარქსისთვის მიეწერა, იმ მარქსისთვის, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მქადაგებელი იყო, და მან გმირულად გამოუცხადა თავის გაკვირვებულ მკითხველებს და მწუხარებით შეწუხებულ დიალექტიურ მიმდევრებს, რომ მომავალში:

„საზოგადოებრივი კლასები მოისპობიან და მათთან ერთად დაინგრევა სახელმწიფოც. როცა საზოგადოება იწყებს წარმოებას თავისუფალ თანასწორ მწარმოებელთა ასსოციაციის ნიადაგზე, მაშინ მთელ სახელმწიფო მანქანას შეინახვენ სიძველეთა მუზეუმში ჯარასთან და ბრონზის ცულთან ერთად". ენგელსის ამ სიტყვას კინაღამ მივაყოლე: ანარქიას გაუმარჯოს მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ ენგელსი თავის გულ მავიწყობამ გაიტაცა და მიითვისა ბრწყინვალე მომავლის პერსპექტივა, აღნიშნული მორგანისაგან. მე ვამბობ, ენგელსი გულ მავიწყობამ გაიტაცა მეთქი, რადგან „კომუნისტურ მანიფესტში", რომელზედაც ქვეით გვექნება ლაპარაკი და რომელიც ითვლება მარქსის და ენგელსის უკვდავ ქმნილებად, ის კატეგორიულად თხოულობდა:

„მიწის რენტის მოხმარებას სახელმწიფო ხარჯებისთვის.

კრედიტის ცენტრალიზაციას სახელმწიფოს ხელში.... განკერძოებით მონოპოლიას გადასატან-გადმოსატან საშუალებათა.

მომატებას სახელმწიფოს კუთვნილ ფაბრიკათა და საწარმოვო იარაღთა დამუშავებას მიწისას ერთი საერთო (სახელმწიფოებრივი?) გეგმით, არმიის შექმნას სპეციალურად მეურნეობისათვის".

---

სებობდა თავის დასაწყისს მუშის წარმოდგენაში, რომელიც ამნაირად უკვე არსებობდა იდეალურად, 7. ის წარმოშობს არა მხოლოდ ცვლილებას ბუნებრივ ფორმებისას, არამედ ის ამასთანავე განახორციელებს ბუნებრივში თავის მიზანს, რომელიც მან უკვე სცადა, რომელიც განსაზღვრავს ხასიათს, წესს მის მოქმედებისას როგორც კანონს და ამ მიზანს ამ კანონს მან უნა დაუქვემდებაროს თავისი ნება. 8. ამ ნაირი დაქვემდებარება არ არის განვითარებული აქტი. მთელ მუშაობის დროს გარდა მომუშავე ორგანოების მოზიდულობისა, საჭიროა აგრეთვე მიზანთან შეფერებული ნება, რომელიც ცხადდება როგორც ყურადღება—და ეს მით უმეტესად, რამდენადაც ნაკლები მიმზიდველია მუშაობა მუშისთვის თვით თავისი შინაარსით, წესით და ხასიათით მის შესრულებისა, რამდენად ამიტომ ნაკლებად სტკბება მით, როგორც თავის საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალების თაშით". (კაპ. სტ. გვ. 163).

ყველა ზემო მოყვანილ განსაზღვრათაგან განსხვავებული ის განსაზღვრაა, რომელიც მარქს მოჰყავს კაპიტალის მე III ტომში. (გვ. 324): 1. სპეციფიკური ეკონომიური ფორმა, რომლითაც უსასყიდლო დამატებითი შრომა გამოიშრიტება პირდაპირ მწარმოებლისაგან, განსაზღვრავს მჭეობელობის და მორჩილების ურთიერთობას (ბატონობის და მონობის)—ურთიერთობას, რომელიც პირდაპირ აღმოცენდება თვით წარმოებისაგან, და რომელიც თავის მხრით მოქმედებს მაზე, როგორც განმსაზღვრელი. ამაზე არის დამყარებული მთელი წყობილება ეკონომიური საზოგადოების, რომელიც აღმოცენდა წარმოებითი ურთი-ერთობათაგან და ამასთანავე მისი სპეციფიკური პოლიტიკური ფორმა არის ყოველთვის წარმოების პირობების მესაკუთრეთა პირდაპირი ურთიერთობა პირდაპირ მწარმოებელთან — ურთიერთობა, რომლის ფორმა ყოველთვის, ნიადაგ ბუნებრივად შრომის ხასიათის და წესის განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეფერება და ამიტომვე მის საზოგადოებრივ მწარმოებელ ძალას—ამაში ვხედავთ ჩვენ მთელ საიდუმლოს, მთელ დაფარულ საფუძველს საზოგადოებრივ წყობილებისას და აგრეთვე მპყრობელობის და დამოკიდებულების ურთიერობის პოლიტიკურ ფორმისაც, ერთი სიტყვით ყველა სპეციფიკურ სახელმწიფოებრივ ფორმისას".

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ მისი პირველი განსაზღვრიდან დაწყებული უკანასკნელამდე თან და თან უფრო და უფრო აძლევს მნიშვნელობას იდეოლოგიურ ფაქტორებს. მეორე და უმთავრესი შენიშვნა, რომელიც ძლიერ დიდ მნიშვნელოვანია, შესდგება იმაში, რომ თვით მარქსი ერთი მხრით აღიარებს მატერიალიზმს, როგორც საერთო ფილოსოფიურ პრინციპს მსოფლიო არსებობისას და მეორე მხრით, როდესაც შედის სოციალურ მოვლენების განხილვაში, მაშინ ახდენს სოციალურ ფაქტორების ისეთ კლასსიფიკაციას, რომლითაც ზოგი ფაქტორები არიან ეკონომიური, ესე იგი მატერიალისტური მისი აზრით (შეიძლება მოვლენა მატერიალისტური იყოს და ეკონომიური კი არა) და ზოგი კი იდეოლოგიური, არა ეკონომიური, არა მატერიალური, რომლების დიალექტიკური, უკუღმართული ზედ მოქმედება წარმოშობს ისტორიას, ისე, რომ ეკონომიური ფაქტორი, როგორც მატერიალური, გინდ მატერიალური, როგორც ეკონომიური, მისი ღირებულებით უმთავრესია, ვინემ იდევოლოგიური, ესე იგი ეკონომიურად მონისტურია. მაგრამ ეს მატერიალიზმია, რომელიც კიდეც არის მატერიალისტური და კიდეც არა, ეს მართლაც რომ დიალექტიკური მატერიალიზმია. ამას გარედ ერთი რომელიმე პრინციპი, რომელიც საზოგადოთ ან მოვლენათა რომელიმე ჯგუფში აყვანილია საყოველთაობაში (возведена въ универсальность), ან დასახულია როგორც ზოგადი პრინციპი, ის შეიძლება დარჩეს ამ ნაირ ზოგად პრინციპად მხოლოდ მაშინ, როდესაც უმთავრესი პირობები მისი ზოგადობისა არ იქნებიან დარღვეული, ე. ი. ის დარჩება თავის თავად დროშიც და სივრცეშიც; მაშინ როდესაც იდეოლოგიური ფაქტორი თავის დროზე განსაზღვრავს (განსაზღ. III. ფრ .1.) ეკონომიურს, სად არის მაშინ ეკონომიკის პრინციპიალური უაღრესობა, უმთავრესობა. ამას გარედ თუ ერთი ჯგუფი ისტორიული ფაქტორების ეკონომიური—მატერიალისტურია და მეორე კი იდეოლოგიურია, არა ეკონომიური—არა მატერიალისტური, მაშინ როგორ ხდება შესაძლებელი მათ შორის ზედ მოქმედება, როგორ მყარდება მათ შორის მიზეზობრივი დამოკიდებულება, ერთი სიტყვით, როგორ ახერხებს მარქსისტული გონება ხიდის გადებას ამ ორ ისტორიულ ფაქტორებს შორის? როგორ შეიძლება შეუძლებლობის მესაძლებლობად გადაქცევა თუ არა დიალექტიკურად.

თუ იტყვიან, როგორც ზოგიერთი მარქსისტები ამბობენ, რომ მსგავსად მოძრაობისა, რომელიც გადაიქცევა თავისი რიცხვითი და თვისებითი ხარისხებით სითბოთ, სინათლედ, ხმოვანებათ და ელექტრონათ, ეკონომიური მდგომარეობაც ამნაირადვე გადაიქცევა იდეოლოგიად ე. ი. სარწმუნოებათ, ზნეობათ, ფილოსოფიად, ხელოვნებად, სახელმწიფოდ, მაშინ ყველა ამასთან ერთად ისიც იქნება თქმული, რომ როგორც სითბო, სინათლე, ხმოვანება და სხვა ყველა მაინც მოძრაობა არის, ისე სარწმუნოება, ზნეობა, უფლება და საზოგადოდ იდეოლოგია ეკონომიური მდგომარეობა არის და, მაშასადამე, მათ შორის არავითარი ეკონომიური მონიზმის დამყარება არ იქნება შესაძლებელი. რატომ? იმიტომ, რომ თუ ყველა ესენი უკვე ერთი ბუნების იქნებიან, მათი მონიზმი, როგორც გაერთიანება, იქმნება უკვე გაერთიანებულის გართიანება, ღია კარების შემტვრევა ან დახურულის დახურვა. აგრეთვე მონიზმი, ერთი მათგანის ბუნების უპირატესობით შეუძლებელი ხდება, რადგან ყველა ერთი ბუნებიანად იქმნებიან წინადვე ცნობილი.

ყველა ამასთან, იმ აზრს, რომლითაც მარქსიზმში სოციალური მოვლენები მიღებული არიან როგორც მექონნი ორი სხვა და სხვა ანტაგონისტურ მხარეების და მაშასადამე ორი სხვა და სხვა მეტოდის—ეკონომიურის მატერიალისტურად გაგებულის და იდეოლოგიურის არა მატერიალისტურად გაგებულისა, მიჰყავს და გადააქცევს მარქსიზმის ისტორიულ კონცეპციას იმ ფილოსოფიურ დოქტრინად, რომელიც ამბობს, რომ ფიზიკური და პსიხიური არიან ორი პარალლელური მხარეები „ერთი რეალური" არსების, ერთი შეუცნებელის (одного непознаваемаго), რომელიც ჩვენ შეგვიძლია შევიგნოთ (ე. ი. შევიგნოთ შეუცნებელი. აი ამას ჰქვია აბსურდში ჩავარდნა.) მისი ამ „ორი მხარეებით". მაგრამ ცხადია, რომ ასეთი მონისტური კონსტრუქცია მოხერხებულად დაფარული დუალიზმია, მაგრამ მაინც დუალიზმია. მარქსის და მისი მოწაფეების აზრით, როგორც ეს ზემოდ მოყვანილ ციტაცეებიდან და მთელი ტეორიიდან სჩანს, ისტორიული

მატერიალიზმი ე. ი. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ისტორიული ეკონომიზმი ანუ ეკონომიური მონიზმი არის ისეთი კონცეპცია, რომელიც ისტორიის საფუძვლად აღიარებს ეკონომიურ სტრუქტურას და პოლიტიკას, ლიტტერატურას, ხელოვნებას, მეცნიერებას სუპერსტუქტურად—პირველი ფენომენია, მეორე კი ეპიფენომენი. შეიძლება კიდევ სხვა ნაირად გამოვთქვათ ეს ისტორიული და ვითომ სოციოლოგიური კონცეპცია. 1. ყველა არსებითად სოციალურ ფაქტორებს ისტორიული განვითარებისას აქვს საფუძველად ეკონომიური, როგორც უმთავრესი და როგორც საფუძველი, რომელზედაც აშენებულია ყველა სხვა და რომელიც განსაზღვრავს ყველა სხვა ფაქტორებს (მიუხედავად იმისა რომ ეკონომიური გაგებულია როგორც მატერიალური და სხვები კი როგორც ედოლოგიური ილლიუზიური, არა მატერიალური. შ. ავტ.) 2. თვით ამ ეკონომიურ მდგომარეობაში, ურთიერთობაში, ორგანიზაციაში უმთავრესი და სასაფუძვლო არის წარმოების სახელვანო, ხელსაწყო, შრომის ისტრუმენტი. საზოგადო ხასიათი მარქსისტულ ისტორიულ კონცეპციისა, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, არის ამ კონცეპციის იერარქიული, ჯრქიული ხასიათი. ჩვენთვის სოციალური ცხოვრება ძრიელ რთულ წარმოებას წარმოადგენს; ის არ არის მხოლოდ მარქსისტულად გაგებული ეკონომიური წარმოება, არამედ აგრეთვე ის ერთ და იმავე დროს არის ეკონომიური, გონებრივი, ზნეობრივი, ხელოვნური და პოლიტიკური და სხვა წარმოება არის; არც ერთი მხარე სოციალურ წარმოებისა ერთი მეორისაგან არ შეავიძლია დავაშოროთ არც დროში და არც სივრცეში და ამიტომ მათ შორის მონიზმის დამყარება პრიმიტივიზმისაგან შეუძლებელია. ჩვენთვის გასაგებია და საყურადღებო ის, რომ მატერიალიზმის მომხრე თუ ვართ, მატერიალისტი უნდა ვიყოთ ყველაფერში, მაგრამ არ არის გასაგები ის, რომ მატერიალიზმი რად უნდა იყოს ეკონომიურად მონისტური და არა მატერიალისტურად ეკონომიური ე. ი. მოძრაობა ონორგანულ და ბიოლოგიურ ბუნებაში უმცირესი დაბრკოლებისკენ სოციალურ მოვლენებში მიიღებს სახეს ეკონომიურისას, ესე იგი ძალების უმცირესის ხარჯისას უმეტესი ნაყოფის მისაღებათ.

შ. გ.

## მუშათა მოძრაობა საფრანგეთში *)

მაგრამ აი გავიდა ორი-სამი წელიწადი და მდგომარეობა შეიცვალა. ტერორიული მოძრაობა მიჩუმდა. ამან შეჰქმნა რამდენიმეწყება შესანიშნავ მაღალ ზნეობის გმირებისა და ანარქიზმით დაინტერესა უმაღლესი საზოგადოება. ხელ ახლად თავი წამოჰყო პროპაგანდის საკითხმა. ანარქისტთა შორის, რომელნიც უმეტეს ნაწილად თვითვე იყვნენ მუშები, გავრცელება იწყო აზრმა, რომ მუშათა სინდიკატები კარგი ნიადაგია საპროპაგანდოთო, რომ იმათში შედიან უფრო შეგნებული, პროპაგანდის უფრო შემთვისებელი მუშები. ხოლო ამ დროს მუშათა შრომის გავრცელებული საერთო გაფიცვის იდეია კიდევ უფრო ამტკიცებდა იმ აზრს, რომ უსათუოთ საჭირო იყო მუშათა ორგანიზაციები გამზადებული ყოფილიყო იმისთვის, რომ ამ გაფიცვას მართლა მოეტანა ყველა ის, რის მოცემაც შეეძლო, ე. ი. სოციალურ რევოლიუციის შესავალი ყოფილიყო. იდეია პროპაგანდის აუცილებლობისა სინდიკატთა წრეებში სულ უფრო და უფრო ჰპოულობდა მომხრეებს და შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟამად საფრანგეთის ანარქისტთა დიდი უმრავლესობა ამა თუ იმ სახით მონაწილეობას იღებენ ამ პროპაგანდაში.

რომ ისინი არ შესცდნენ ამ გზის ამორჩევით, გვიჩვენებს უკანასკნელ წლების მიღწეული შედეგები. გაჩვენებს მთელი ის ევოლიუცია მუშათა სინდიკატებისა, რომელზედაც იმათ, — რასაკვირველია, ცხოვრების გაკვეთილთან ერთად — თვალსაჩინო გავლენა იქონიეს. ამ ჟამად სინდიკატის მუშები საფრანგეთში ორ, სასტიკად განსაზღვრულ, პარტიად იყოფა. მილიერანის სისტემის მომხრედ, რომელმაც არა მცირედი სისაძაგლე შეიტანა მუშათა ცხოვრებაში, და ეგრედ წოდებულ „რევოლიუციონურ სინდიკალისტებად, რომელთა შორისაც, ანარქისტთა გარდა, არის კიდევ ძალა უნებურად მილიერანის მიმართულების მტრობით მათთან შეერთებული გედისტები და ბლანკისტები. გაყოფა სოციალურ ქვეყნის ორ მსვლელობათა შორის აქ განსაკუთრებით მკაცრად იხატება. ჩვენ ორსავე მსვლელობას ვპოულობთ თავის უკიდურეს ფორმაში, თითქმის ერთი მეორის დაუშორებლად. მილიერანი, რომელსაც სამინისტროში ყოფნამ შეძლება მისცა თავის შეხედულებათა ნაწილი პრაქტიკულად განეხორციელებინა, „სოციალურ ქვეყნის“ თეორიის წარმომადგენლად გამოვიდა; უმთავრესი იმისი მიზანი იყო შეექმნა ისეთი დაწესებულებანი, სადაც მუშათა და მეპატრონეთა შორის ატეხილი დავა კანონის გზით გადაწყვეტილიყო ამა თუ იმ წარმომადგენლების კომისიათაგან (ასე განავითარა იმან უმაღლესი საბჭო შრომისა და შეიყვანა იმ დანიშნულ მოხელეებთანა და მეპატრონეტა წარმომადგენლებთან ერთად მუშათა წარმომადგენელნიც); იმას ეკუთვნის აგრეთვე გაფიცვათა წესდების პროექტი, რომლითაც გაფიცვა უნდა გამოცხადდეს, ან დასრულდეს არა სხვა გვარად, თუ არ უმრავლესობის ფორმალურ გადაწყვეტილებით და მხოლოდ ასეთს შეთხვევაში იქნება მიჩნეული კანონიერად. ამას გარდა გაფიცვის დროს უთუოდ უნდა მიმართონ სამედიატორო სამართალს. ამ პროექტს დიდი წინაღმდეგობა გამოუცხადა მუშათა სინდიკატების უმრავლესობამ (უთუოდ ამიტომაც ისე უმოძრაოდ დარჩა ეს პროექტი ამდენს ხანს); ამათ ამ პროექტში ეკონომიურ ცხოვრებაზე უმრავლესობის დემოკრატიულ პრინციპის გავრცელება კი არ დაინახეს, როგორც ამას პროექტის მომხრენი ამბობდნენ, არამედ უფრო რევოლიუციონურ უმცირესობას შეძლებას ართმევდნენ თავიანთის მაგალითით გაეტაცებინათ უფრო ნაკლებად გაბედული ამხანაგები. უმთავრესად ამაში დაინახეს საერო გაფიცვის საწინააღმდეგო ზომები: გაფიცვა არასოდეს არ არის ყველა მუშების უმრავლესობის წინად გადაწყვეტილების შედეგი. იგი შეიძლება წარმოსდგეს მოძრაობის გავრცელებით, რომელსაც უფრო ენერგიული და რევოლიუციონური უმცირესობა იწყებს.

ამ პროექტის სამწუხარო ბედში, რომელმაც გაფიცვის გაძლიერების შეუძლებლობა წამოაყენა, შეიძლება დავინახოთ, რომ „მილიერანდიზმის“ გავლენა მუშათა შორის საზოგადოდ შეზღუდულია. მუშათა სინდიკატების უმრავლესობაში, ეჭვი ეს არის, „რევოლიუციონურ სინდიკალისტების“ მიმართულება სჭარბობს. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს მიმართულება ანარქისტული იყოს: ამისთვის იმას არ ჰყოფნის ის თეორეტიული მოსაზრება, რომელიც ერთს მთელად აერთებს ეკონომიურ, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებას

*) იხ. „ნობათი“ № 3.

ანარქისტებისას. **მაგრამ საკუთრად მუშათა საკათხში იგი—ანარქისტთა უეჭველ გავლენის ქვეშ**—იმავე გზით მიდის, რომლითაც ისინი მიდიან.

საერთო გაფიცვა ოდესმე წმინდა პასივურ საშუალებას წარმოადგენდა, „გულხელ დაკრეფილი გაფიცვა“; იგი აქამდე ასე აქვთ წარმოდგენილი ზოგიერ სოციალისტებს, რომელთაც ეს რეფორმების მისაღწევ საშუალებად მიაჩნიათ (ჟორესი, ბელგიის სოციალ დემოკრატები) აგრეთვე რუსის ზოგიერთ სოსოციალისტებსაც. მაგრამ საფრანგეთის სინდიკატებისთვის იგი დიდი ხანია პასივური საშუალება აღარ არის. ისინი ისე უყურებენ ამას, როგორც პირველ ნაბიჯს სოციალურ რევოლიუციისას, ნაბიჯს, რომელიც ყოვლის უწინარეს არღვევს წინააღმდეგობას და აჩერებს ყოველს მოქმედებას თანამედროვე საზოგადოებრივ მექანიზმისას. ამას მაშინვე უნდა მიჰყვეს მეორე—მუშათაგან ფაბრიკებისა და ზავოდების ხელში ჩაგდება და წარმოების მოწყობა ახალს საფუძველზე. რომ დავრწმუნდეთ, თუ სწორედ ასეთია საფრანგეთის სინდიკალისტთა შეხედულება, საკმაოა გადავხედოთ იმათი ლიტერატურა, იმათ კონგრესის გადაწყვეტილება. „საერთო შრომის კონფერენციის“ ორგანო „Voi-du peuple“ (ხალხის ხმა*) ყველა თავის სტატიებში დაჟინებით ამბობს, რომ „დაქირავებულ შრომის მოსპობა და ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაცია, რომელიც კონფერენციის წესდების პირველ მუხლს შეადგენს, პარლამენტის მოღვაწეობის შედეგი და უფლების ხელში ჩაგდება კი არ იქნება, არამედ შედეგი იქნება მუშათაგან კაპიტალისტების პირდაპირის ექსპროპრიაციისა,—ექსპროპრიაციისა, რომლისთვისაც საერთო გაფიცვა დასაწყისად გამოდგებოდა. ამ გვარადვეა შედგენილი ყველა ბროშიურები, რომლებიც, კონგრესის გადაწყვეტილებით, საზოგადო გაფიცვის იდეათა გასავრცელებლად იბეჭდება. დასასრულ, კონგრესზე 1902 წელს გადასასინჯად პირდაპირ წარდგენილი იყო საკითხი: რა ჰქნან მუშებმა, როდესაც საერთო გაფიცვა შეაყენებს წარმოებას და ისინი შეიქნებიან საქმის მეთაურებად? მაშინ როგორ მოაწყონ ეკონომიური ცხოვრება ახალს საფუძველზე? და ყველა გამოგზავნილ მოხსენებებში ჩვენ ვპოულობთ ერთსა და იმავე პასუხს, სხვა და სხვა ფორმებით, ხელობის მიხედვით: მუშათა ჯგუფები დამოუკიდებლად უნდა შეუდგნენ წარმოებას და მოაწყონ ნაწარმოების განაწილების საქმე, მხოლოდ თავიანთის იმედით ისე, რომ არავითარ სახელმწიფო მთავრობის განკარგულებას არ ელოდნენ. რასაკვირველია, ყველა სინდიკატებს არ გამოუგზავნიათ თავიანთი მოხსენებები, რასაკვირველია, ესენი ყველგან ასე გარკვეულად არ აძლევენ თავიანთ თავს ანგარიშს თავის მოქმედებისას, მაგრამ უკვე ერთი ის, რომ უფრო განვითარებული, უფრო შეგნებული უმცირესობა იძლევა სწორეთ ასეთს პასუხს, იმის მჩვენებელია, ამ წრეში რამდენად იპოვა სასურველი ნიადაგი ანარქიულმა იდეამ.

საერთო გაფიცვასთან მჭიდროდ შეკავშირებული იყო ჯარისკაცთა შორის პროპაგანდა. ცდილობდნენ, რომ მხედრობის ნაწილი მუშებისთვის მიემხროთ. ომის საწინააღმდეგო კრებები, რომელსაც საფრანგეთის „შრომის ბირჟები“ მართავდნენ, სპეციალური ნომრები გაზეთ „ხალხის ხმისა“ მომავალ ჯარის კაცთათვის, მსჯელობა კონგრესზე იმისა თუ როგორ მოეწყოს, რომ ახალგაზდა მუშამ ჯარში შესვლის შემდეგაც არ გასწყვიტოს ამხანაგებთან კავშირი, როგორ მოაწყონ დამოკიდებულება ადგილობრივმა „შრომის ბირჟებმა“ ჯარის კაცებთან (ამასწინად სამხედრო მინისტრმა საშიშროება იგრძნო და ახალგაზრდა ჯარის კაცთ „შრომის ბირჟაში“ შესვლა აუკრძალა),—ყველა ეს გვაჩვენებს, რომ საფრანგეთის მუშათა კავშირები ამ საქმეს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ. მოვაგონებთ, რომ „შრომის ბირჟის“ ფედერაციისაგან გამოცემული ბროშიურა „სასწავლო წიგნი ჯარის კაცთათვის“, სასამართლომ აღკრძალა.

---

## რუსეთის ცხოვრებიდან.

—

— **სოფ. ზემილიუკში** კაზაკებმა გლეხებს თოფები ესროლეს და მოჰკლეს ერთი ფეხმძიმე ქალი. მაშინ რამდენიმე ასი კაცი ქვებით, ორთითებით და კეტებით მიესივნენ ყაზახებს. მოხდა შეტაკება. დაიჭრა 17 კაცი, მოიკლა რამდენიმე. ყაზახები გაიქცნენ.

— **ელისავეტგრადი.** ადესის დროებით სამხედრო სასამართლომ **დახვრეტა გადაუწყვიტა** ჩერკასს ადგილობრივ მცხოვრებს ზავიონოვს გაძარცვის გულისთვის მკვლელობის ჩადენის გამო.

— **პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ ხუთ კაცს, რომელთაც შემნახველ კასსის თავს-დასხმა ჰბრალდებოდათ, **სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა**; მეექვსე კი 20 წლით კატორგა. განაჩენი დასამტკიცებლად ჯარის უფროსის თანაშემწეს წარედგინა, რომელმაც სასჯელი შეუმსუბუქა დამნაშავეებს. შინაგან საქმეთა მინისტრს **პროტესტი გამოუცხადებია** სასჯელის შემსუბუქების წინააღმდეგ.

— **პეტერბურგი.** სატახტო ქალაქის ერთ-ერთ გაზეთის რედაქციას მოუვიდა რემინგტონზე დასტამბული წერილი, რომელსაც ხელს აწერს მუშათა სამსჯავროს წევრი; ამ წერილში ნათქვამია, **გაპონი მოკლულ იქმნა ღალატისა და გამცემლობისათვისო.** გასამართლების ადგილი არაა აღნიშნული; მკვლელობა, ალბად, ფინლიანდიაში ჩაიდინეს: წერილში იწერებიან, გაპონს დანაშაულის ჩადენის დროს მოასწრესო; გაპონს დიდხანს ეწინააღმდეგა თურმე. დაბოლოს აღთქმას იძლევიან, რომ ჩქარა დაწვრილებით გაცნობებთ ყველაფერს გაპონზეო.

— **კიევი.** გათავდა საქმე საპიორთა მესამე ბრიგადის სალდათებისა, რომელთაც აჯანყება ედებოდათ ბრალად სამსახურის ვადის ძალათ შემცირების მისაღწევად. **დახვრეტა მიუსაჯეს** ფელთბებელებს კოროვინსა და კვაშინს და უნტერ-აფიცერს რიაბოის. სამი აფიცერი გაამართლეს. კატორგა მიუსაჯეს 23 სალდათს, სადისციპლინო ბატალიონი 63-ს, 10 კი გაამართლეს.

— **ადესა.** ანარქისტებმა სასიკვდილოდ **დასჭრეს** ბოქაული პოგრებნოი. რომელიც შემდეგ გარდაიცვალა.

ვიღაც ქალმა **ბომბმა ესროლა** უბნის ზედამხედველს მოლტავჩენკოს. მსროლელი ხმლით დასჭრეს დაჭერის დროს და სატუსაღოს ციხეში გაჰგზავნეს.

— **ადესა.** უცნობმა **ქალმა ბომბა** გადააგდო პალეევის ბაკალეინის მაღაზიაში, დაიჭრა ნოქარი და დაინგრა მაღაზიის მოწყობილობა. ქალი ანარქისტკა იყო.

— **ვარშავა.** სამხედრო-საოლქო სა-

*) შესანიშნავია, რომ მუშათა ორგანიზაციებისაგან რედაქციის თანამშრომელთა არჩევის დროს სეკრეტრად აირჩიეს პუჟი, ერთი უძველესი მოღვაწეთაგანი ანარქიულ მოძრაობისა საფრანგეთში, რომელიც მრავალის წლის განმავლობაში საფრანგეთში ხალხურს ენაზე სცემდა გაზეთს „Pere peinord“

სამართლომ **ჩამოხრჩობა მიუსაჯა** გლეხ იარონივსკის სამხედრო პირის მოკვლის განზრახვისათვის.

— **მინსკი**. დღეს გაფიცვა იყო სტამბებსა და მაღაზიების ერთ ნაწილში.

— **მოსკოვი**. აღმოაჩინეს ანარქისტების ბინები. ზოგიერთებს უპოვნეს **ბომბები** და ასაფეთქებელი მასალა. სუჩევაში, გაჩხრეკის დროს, ერთმა ქალიშვილმა რევოლვერი ესროლა ჟანდარმთა ოფიცერ მარტინოვს და დასჭრა, პრესნაზე დაიჭირეს სარევოლიუციო კომიტეტი 24 კაცისაგან შემდგარი.

— **ბელოსტოკი**. შეიარაღებულმა ბრბომ გასჩეხა ბაჩნოს მიდამოების ტყე გრაფინია რედიგერისა. მოვიდა საერობო დარაჯი, რომელსაც სროლით მიეგებნენ, დარაჯმა სროლით უპასუხა და **დასჭრა ერთი**. ხალხი გაიფანტა.

**მოსკოვი**. პრესნაზე **დაიჭირეს** 14 რევოლიუციონერის კრება.—„ანგლია“ს ნომრებში დაიჭირეს რევოლიუციონერი, რომელსაც აღმოაჩნდა 2 ბომბა და რევოლვერი —

— **ჩიტა**. **დაიჭირეს** პოლიცმეისტერი პრომშუნინსკი და ორი ვაჭარი.

— **ადესა**. სამხედრო სასამართლომ 10 წლით კატორგა **გადაუწყვიტა** სეპომნიაშჩისა და ვიინერს და 15 წ. კრაველოს—ანარქიტთა ჯგუფში მონაწილეობის მიღებისა.

— **ჩენსტოხოვი**. საღამოს 6 საათზედ **მძიმედ დასჭრეს ბომბით** ჩესტახოვის პოლიცმეისტერი შუაგულ ქალაქში. ბოროტ-გამზრახველი მიიმალა.

— **ვარშავა**. 3 უცნობმა რევოლვერით **მოჰკლა გოროდოვოი** შიმჩაკი ტეპლი ქუჩაზე.

— **ადესა**. ციხეში მყოფ ტუსაღებმა ლანძღვა დაუწყეს დარაჯ სალდათებსა და მორიგეებს; რისთვისაც თოფები დაახალეს ტუსაღებს ფანჯრებში; ერთი **მოკლეს და მეორე მძიმედ დასჭრეს**.

— **სმოლენსკი**. ქუჩაში ბრაუნინგით **დასჭრეს მძიმედ რკ. გზის კონდუქტორი, ჯაშუში**, როგორც ამბობენ. მსროლელნი დაიჭირეს და ცალკე კამერებში ჩასვეს ციხეში. დღეს ღამით ერთმა ამათგანმა **თავი ჩამოიხრჩო**, მეორეს **თავის მოკვლა უნდოდა და გაქცეულმა თავი მიაჯახა ციხის კედლებს**, მაგრამ მიზანს ვერ მიახწია და გულ-წასული საავათმყოფოში წაიყვანეს.

— **ადესა**. სამხედრო სასამართლოდან **გაიქცა** პოლიტიკური ტუსაღი კურდიუკოვი, რომელიც საბრალმდებლო ოქმის ჩასაბარებლად იყო გამოწვეული. მას ბრალდებოდა შეიარაღებული თავდასხმა.

— **ხარკოვი**. სახელმწიფო სათათბიროს წავრად ამორჩეული პროფ გრედესკული არხანგელსკის გუბერნიაში **გაუგზავნიათ**. სმოლენსკი კრასნენსკის მაზრაში მოძრაობა დაიწყო. საქმე შეტაკებამდის მივიდა. **დაიჭრა ორი დარაჯი და რამდენიმე გლეხი**.

— **ლიუბლინი**. ხალხში მოჰკლეს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი. მკლელი მიიმალა.

— **ადესა**. სამხედრო სასამართლომ $1^1/_2$ წ. ციხე გადაუწყვიტა გლეხ იულინს, არა ლეგარულ ლიტერატურის შენახვა—გავრცელებისათვის და გადასახლება მიკელ დუკელსკის, ანარქისტ მუშების ჯგუფის წევრს.

— **ვილნო**. 18 აპრილს გაფიცული იყო ნოქრების უმეტესობა, სტამბები და ზოგიერთი სახელოსნოები.

— **კიევი**. ზლატოპოლთან დაჰკლეს კუჩერი და 4 მგზავრი მასთან.

— **ვარშავა**. პირველ მაისობის გამო სრული გაფიცვაა. არ მუშაობს არც ფაბრიკები, არც მაღაზიები, არც ბანკები, საბულკეები, რესტორანები. უმეტესობა სკოლებისა, არაა მიმოსვლა ცხენის რკ. გზისა და ეტლებისა. გაზეთები არ გამოვიდა.

— **ბელოსტოკი**. დღეს გაფიცვაა ფაბრიკებსა, სახელოსნოებსა და მაღაზიებში.

— **ბრესტ-ლიტოვსკი**. გაფიცულები არიან ფაბრიკები და სახელოსნოები.

— **კოვნო**. არაა მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებზე.

— **ვარშავა**. დაბა ვოლიაში დასჭრეს 2 საერობო დარაჯი. დაიჭირეს 3 კაცი.

ბოქაულის თანაშემწე ვოლკოვს ესროლეს, მაგრამ ააცდინეს. პატრულმა დაიჭირა მსროლელი.

---

## ადგილობრივი ქრონიკა

—

✦ 15 აპრილს ავლაბარში გადამდებ სენით ავადმყოფთა მახლობლად, განკერძოებულ სახლში იპოვეს ჭა სიღრმით 10 საჟენი. ჭაში ჩასასვლელად ბლოკი იყო გამართული. შვიდი საჟენის სიღრმეზე გვირაბი იყო გამართული, რომლიდანაც მეორე ჭაში შეიძლებოდა გასვლა. აქ ჭის კედელზე კიბე იყო მიდგმული 5 საჟ. სიმაღლე, რომელსაც მეორე სარდაფში ჰყავდა. აქ იპოვეს კარგად მოწყობილი სტამბა, 20 ასსიბი რუსული, ქართული და სომხური შრიფტებით; გარდა ამისა იპოვეს 2000 მანეთად ღირებული მაშინა, სხვა და სხვა **სიმძიმეები, ასაფეთქებელი სითხე და სხვა მასალები ყუმბარების მოსამზადებლად, ყოველნაირი არა ლეგალური ლიტერატურა, ჯარების სხვა და სხვა ნაწილების და სხვა დაწესებულებათა ბეჭდები. ერთი 15 გირვ. ყუმბარა დინამიტით გატენილი. სტამბაში ელექტრონის სიგნალიზაცია ჰქონდათ მოწყობილი; ეზოში იპოვეს სამი გაკეთებული ყუმბარა**

**ამავ დღეს** „ელვის“ რედაქციაში, როგორც ამ საქმის მონაწილენი, **დააპატიმრეს** 24 კაცი, რომელთაც კრება გაემართათ. დაპატიმრებულნი, როცა საპყრობილეში მიჰყავდათ, გზაზე მარსელიეზას მღეროდენ.

✦ 17 აპრილს, დილის 6 საათზე ქალაქის საგუბერნიო საპატიმროში **ჩამოაღრჩვეს** 18 წლის ყმაწვილი სამსონ ლლონტი, რომელსაც ხაზინადრის მალინოვსკის მოკვლა ბრალდებოდა. ყმაწვილს ჩამოხრჩობის წინ ტირილი დაუწყია.

✦ ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელს აქსენტი მეგრელიძეს, სინოდის განკარგულებით, მღვდლის ხარისხი ჩამოართვეს.

✦ არჩილ ნებირიძე, რომელსაც წითელი რაზმის მეთაურობას აბრალებდენ, 14 აპრილს გორში დაუჭერიათ და ხაშურში წაუყვანიათ.

✦ 10 აპრილს, დილის 11 საათზე, ავჭალის მოედანზე ვიღაცამ ორჯელ ესროლა რევოლვორი პავლე ტაშკინს, რომელსაც საეჭვო სახელი ჰქონდა, და იქვე მოჰკლა. ეჭვით დაიჭირეს ვიღაც უცნობი ადამიანი.

✦ წიფის სათგურზე, როგორც გაზეთებში სწერენ 13 აპრილს საღამოს 11 სათზე ვაგონებში მდგარ მეექვსე როტას, უცნობებმა სროლ აუტეხა. დაჭრილი და მკვდარი არავინაა.

✦ ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „ნა პოვოროტე“ დაიხურა და რედაქტორს ა. ბ. მდივან ებრძანა, შვიდის დღის განმავლობაში გავიდეს გენერალ-გუბერნატორის სამფლობელოდან.

✦ ბათუმში ჯაშუშობის საქმე სამაგალითოდ მოუწყვიათ; აღდგომის მესამე დღეს შვიდი კაცი დაუჭერიათ.

✦ ტობოლის გუბერნიაში გაგზავნეს 18 აპრილს დავით როსტომაშვილი'

დანიელ გოგელია (17 წლის) ჯაფარიძე და სხვები,

✦ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „ელვა“ დაიხურა.

✦ 18 აპრილს თუმანოვის მესამე ქუჩაზე ვიღაცა კაცმა რევოლვერით მოჰკლა გიორგი ქართველიშვილი, მკვლელი მიიმალა. ქართველიშვილს პოლიციის აგენტობას აწამებოდენ.

✦ 18 აპრილს დავიდოვის ქუჩაზე მოჰკლეს ალექსანდრე ცქიტიშვილი, რომელიც „ლამპარის“ სიტყვით ქუთაისში ჯაშუში ყოფილა და ქალაქში სავასტროლოდ იყო ჩამოსული.

✦ ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთი „კავკაზსკი ვესტი“ ერთი კვირით შეჩერებულ იქნა.

✦ 21 აპრილს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე პეტერბურგიდან ჩამოვიდა კავკასიის პოლიციის უფროსი გენ.-ლეიტენანტი შირინკინი.

✦ 21 აპრილს შუშიდან ეპისკოპოს აშოთისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „დღეს სომეხთა სოფლების—ტაკარისა და მერიკენდის მცხოვრებნი შიშით დამფრთხალი მოვიდენ და განაცხადეს, რომ „ლეტუჩი ოტრიადის“ უფროსმა ვივერნმა წუხელის მათ სოფელს ზარბაზნები დაუშინა, რვა სახლი დაანგრია და მცხოვრებთ 345 მანეთი ჯარიმა გადაახდევინა.

✦ ქალაქის გამგეობამ 20 აპრილს სხდომაზე განიხილა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თხოვნა. უკანასკნელი ითხოვდა, ნება მოეცით ელექტრონის ტრამვაი გაეიყვანო რკინის გზის სადგურიდან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამდე ნივთების გადასაზიდათო. გამგეობა დათანახმდა იმ პირობით თუ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მიერ ტრამვაის სასარგებლოთ გადასახადს გამოექლება ქალაქის სასარგებლოთ $2^0/_0$.

✦ ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა ბ-ნ არაქელიანცს და ა. ი. ხატისოვს ნება დართო დღეს 23 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზედ ავლაბრის თეატრში წაიკითხონ სომხურ ენაზე ლექცია „რა უნდა ხალხის თავისუფლების პარტიას“, შემდეგის პროგრამმით: „17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, 2) ქალაქის მდგომარეობა 17 ოქტომბრამდე, 3) სახელმწიფო სათაობირო, 4) პოლიტიკური პარტიები და მათი პროგრამმა, 5) მიუცილებელი საჭიროება, რომ სომხები „თავისუფლების პარტიის“ მიემხრონ.

✦ **ჩხრეკა.** როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, 16 აპრილს ქალაქს ალყა შემოარტყეს და ჩხრეკა დაიწყეს კვალის მისატანად ხაზინის ქურდებზე. ერთ ოჯახში აღმოაჩინეს სალდათის ტანთსაცმელი, მაგრამ ეს ტანთსაცმელი ეკუთვნოდა დუშეთის საპყრობილეში დაპატიმრებულ გ. ლაზარევს, რომელიც ჯარის კაცად მსახურებს პოლკში.

✦ საქველ-მოქმედო წარმოდგენა დღეს 23 აპრილს, სახაზინო თეატრში გაიმართება წარმოდგენა ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მე-8 კლასის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი ვქნება „ურიელ-აკოსტა“ გუცკოვისა.

✦ ოზურგეთის მაზრის უფროსი. როგორც „ჩ. ვ.“-ს გაუგია, ოზურგეთის მაზრის უფროსად ინიშნება პლასტუნთა ბატალიონის შტაბს-კაპიტანი ერმოლოვი.

✦ მემამულის მოკვლა. ლანჩხუთში მოუკლავთ მდიდირი მემამულე სილიბისტრო წილოსანი. მკვლელი დაიმალა.

✦ მღვდელი რევოლიუციონერი. ექსარხოსის მოადგილემ ეპისკოპოსმა ექვთიმემ შემდეგი ქაღალდი მიიღო ნამესტნიკისაგან:

„ჩერნომორსკის გენერალ-გუბერნატორმა მაცნობა, რომ სოჩის ოლქის სოფ. პლასტუნოვსკის მღვ. ეფრემ ცხაკაია ძლიერ ცუდ გავლენას ახდენდა ამ სოფლის მცხოვრებლებზე; იგი სარგებლობდა რა დიდის ავტორიტეტით თავის სამწყსოში იმის მაგივრად, რომ მცხოვრებთათვის ექადაგნა გულწრფელი მონანიება და უსიტყვო მორჩილება სამოქალაქო მთავრობის მოთხოვნილების შესახებ, სრულებით სულ სხვა ნიადაგზე მოქმედებდა და მით რეპრესიებს უფრო აძლიერებდა ამ სოფლელთა წინაალმდეგ. გარდა ამისა ორ პირული ქცევა ამ მღვდლისა სოჩაში მომხდარ ამბოხების დროს და სრულიად დამტკიცებული მისი მომხრეობა რევოლიუციონერთა მეთაურებისა, დაურღვეველ საბუთს იძლევა იმისას, რომ იგი ამ პარტიას ეკუთვნოდა. ამნაირ მავნე მოღვაწეობისათვის მღვდელი ცხაკია ადგილობრივმა გენერილ-გუბერნატორმა გააძევა. გაცნობებთ რა ამის შესახებ და ვუჯერებ რა დასაბუთებულ საბუთებს გენერალ-პრჟევალსკისას, გთხოვთ ეს მღვდელი სოხუმის ეპარქიიდან გადაიყვანოთ საქართველოს საექსარხოსოს სხვა ეპარქიაში“.

---

## მ ო წ ო დ ე ბ ა

სამი თვეა უკვე, რაც სიქართველო აუწერელს გაჭირვებაში ჩავარდა, რაც თავს შავი ყორანი დასჩხავის. ჯერ კიდევ გუშინ აყვავებული სოფლები, დაბები და ქალაქები მიწასთან არის გასწორებული, ნანგრევებათ არის ნაქცევი და ამ ნანგრევებს შორის ათასობით ვხედავთ გულ-დაწყლულებულ ხალხს, რომელმაც დაჰკარგა ყველაფერი—მახლობელთა სიცოცხლე, კეთილდღეობა, მთელი თავისი ავლა-დიდება, მწარე ოფლითა და სისხლით შეძენილი. ყველა ამას ზედ ერთვისერთი ახალი უბედურებაც—შიმშილი რომელმაც ზოგიერთ ადგილას უკვე იჩინა თავი. არაფერი არ უშველის მიწასთან გაწორებულ ხალხს ერთის გარდა: საჭიროა დაუყოვნებელი დახმარება, საჭიროა დღესვე საზოგადოებრივ ორგანიზაციის მოწყობა შემწეობის აღმოსაჩენათ. კმარა გულ-ცივობა, კმარა გულ-გრილობა ტანჯულ მოძმის წინაშე! უნდა მთელი ძალღონე მოვიკრიბოთ და ხალხს ამ საერთო გაჭირვების დროს გვერდში ამოვუდგეთ, თვითეული კაპეიკი ცოტათ მაინც შეუმსუბუქებს ბედს ტანჯულთ და წამებულთ. მაშ შეერთდით კეთილ საქმისთვის და შეუდექით მოძმის ბედის შემსუბუქებას. დაზარალებულთა დამხმარებელი კომიტეტი.

შემოწირულებას იღებენ: 1. კომიტეტის თავმჯდომარე უგან. კნ. თ. დ. გრუზინსკისა („ორიანტი“-ს სასტუმროში); 2. თავმჯდომარის ამხანაგი კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა (ნიკოლაევის ქუჩა, საკუთარ სახლი) და 3. კომიტეტის წევრები: ნ. ბ. ეიფიანი (ვოენნაია, 10); 4. გ. მ. ლასხიშვილი („შრომის“ რედაქცია); 5. ვ. ი. რცხილაძე (კრუზენშტერნსკაია, 8) „კახეთი“-ს საზოგად. (ერევნის მოედ.); 9. ი. ს. დულაძე (კიროჩნაია, 18) და ხ. პ. ლლონტი (სათავად-აზნაურო გიმნაზია).

კომიტეტი სთხოვს რედაქციებს თავიანთთანაც მიღონ შემოწირულება კომიტეტისთვის გადასაცემათ.

---

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ერისთავი-მდივნისა**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.